# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძო-ლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 14 მაისი. 2016 წ. №88 (7980), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## არჩევნეთ დასავლეთს თბილისის სააპელაციო სასამართლოზე ნიკა გვარამიას გუშინდელი აშკარა უკანონობა-უზნეობის ფაქტი და... ამერიკა-ევროპა ბევრად სწორ სურათს დაინახავს!




**თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასამართლოს უპატივცემულობის გამო ტელებორდელ „ცრუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია 500 ლარით დაჯარიმდა.**

გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ამ დემაგოგი ნაპროკუროლარის მიერ სხდომაზე ორი შუამდგომლობის დაყენება, რომლიდანაც ერთი პროცესის გადადებას ეხებოდა, მეორე კი, მოსამართლეთა კოლეგიის თავმჯდომარის ნატა ნაზღაიძის აცილების მოთხოვნას.

პროცესის გადადების მოტივად გვარამიამ დაასახელა ის ფაქტი, რომ ტელეკომპანია „საქართველოს“ ყადაღაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ცნობილი არ არის. მისი თქმით, ეს გარემოება ხელს უშლის მხარის პოზიციის ჩამოყალიბებას. ამ მოთხოვნის „სამართლიანობის“ გათვალისწინებით სასამართლომ სხდომა მართლაც გადადო!

რაც შეეხება ნატა ნაზღაიძის აცილების საკითხს, როგორც ტელეკომპანიის დირექტორმა სასამართლოსადმი „მიმართვისას“ თქვა, მოსამართლე ნაზღაიძე არის ამაზრზენად მიკერძოებული, ასრულებს დავალებას და „რუსთავი-2“-ის მხარეს „აზრის დამთავრების“ საშუალებას არ აძლევს.

**„მოსამართლე ნაზღიაძე უხეშად არღვევს ჩვენს უფლებებს, შემოდის პაექრობაში... დავალების შემსრულებელი ხართ მკაფიოდ. ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს ამაზე. სრულიად ამაზრზენად იქცევით ჩვენთან დაკავშირებით. ყოველ სიტყვაზე პირში გვეცემით. არღვევთ სამოსამართლო ეთიკას. მოსამართლე ნატა ნაზღაიძე არის დავალების შემსრულებელი ამ პროცესზე“, —** აყვირდა ნიკა გვარამია და ნაზღაიძის აცილება მოითხოვა.

არადა, პირიქით იყო, მოსამართლე აშკარა კანონისა და ზნეობის ფარგლებს არ გასცილებია! უტიფარი გვარამია კი გაღმა ედავებოდა სასამართლოს.

ამის შემდეგ მოსამართლეთა კოლეგიამ გვარამია დააჯარიმა.

მაგრამ მარტო ჯარიმა უშველის?, ვიდრე „ცრუსთავი-2“ — ნაცების ეს პოლიტიკური ბორდელი, გამიზნულად ანტისახელმწიფოებრივი პანდორას ყუთი არსებობს, ჩვენს დეზინფორმაციით გაწამებულ ქვეყანას არაფერი ეშველება.

---

ვისთვის ნეხვის სუნია და ვისთვის პატივის...

## სირცხვილია, ხალხო, როცა ქვეყანაში პენსია 160 ლარია, შენ თვეში 20 ათასს იღებდე!.. ②

თამარ ჭვანია და მისთანანი ვითომ აინშტაინსა და მარია სკლოდოვსკაია-კიურიზე მეტი დამსახურებისანი არიან?!.

---



## ტაკუნებაქავებულნი თანასწორობის აღიარებას ელტვიან! ④

---



იგორ გიორგაძე: ④

## სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს!

---

## „სააკაშვილის ბურჭულაძე“ ბუნებაში არ არსებობს! ③

საჭიროა თუ არა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება?

---

⦿ ოლიმპიური ჩემპიონი




## ზურაბ საკანდელიძის ემოციური ჩირაღდანი ⑩

---

ბაგრატიონთა ოჯახი აბსურდის ლაბირინთში ⑥



## ⑦ „მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ვკვდები“...

◉ ვისთვის ნეხვის სუნია და ვისთვის პატივის...

# თამარ ჟვანია და მისთანანი ვითომ ალბერტ აინშტაინსა და მარია სკლოდოვსკაია-კიურიზე მეტი დამსახურებისანი არიან?!.

## სირცხვილია, ხალხო, როცა ქვეყანაში პენსია 160 ლარია, შენ თვეში 20 ათასს იღებდე!..

**ამ დღეებში** პრესაში გაჩნდა უტყუარი ინფორმაცია, რომ საარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას მიღებული ანაზღაურება თვეში 20 000 ლარს აჭარბებს.

რა ხდება, ხალხო, ამ ჩვენს ეგრეთ წოდებულ თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში?!. ნუთუ თავისუფლება, დამოუკიდებ-



ლობა და დემოკრატიულობა უკუპროპორციულია ზნეობასთან და სინდის-ნამუსთან?!

ფართო მკითხველისთვის ცნობილია როგორც ფარდობითობის თეორიის შემქმნელის ალბერტ აინშტაინის, ისე თავის მეუღლესთან, ჟოლიო კიურისთან ერთად ატომის პირველი გამხლეჩის მარია სკლოდოვსკაია-კიურის სახელი. ფართო მკითხველისთვის ისიც ცნობილია, რომ ამ უდიდეს მეცნიერთ, როგორც იტყვიან, ხშირად ვალები ახრჩობდათ.

ერთი ჩვეულებრივი თავმჯდომარის თამარ ჟვანიას თვიურ ანაზღაურებას 20 000 ლარს დოლარებში თუ გადავიყვანთ (ამჟამინდელი კურსით) ლამის 10 000 დოლარია. ერთ-ერთი მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში აინშტაინი წერს, 5 ათასი ვალი მაქვს გადასახდელი და იქნებ ცოტა ხნით ხელი გამიმართოო. ეკონომიკურ შეჭირვებაზეა ლაპარაკი არცთუ იშვიათად მარია სკლოდოვსკაია-კიურის მიმოწერაშიც (უსახსრობის გამო ჟოლიომ და მან კარგა ხანს ერთი წესიერი ლაბორატორიის გახსნაც კი ვერ მოახერხეს) და აი, ამ დროს ჩვენი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ერთი თვის ანაზღაურება 20 000 ლარს აჭარბებს.

თანაც განა მარტო ამ ეგრეთ წოდებული თავმჯდომარის ანაზღაურება! ამავე გაფუფუნებულ მდგომარეობაშია მთელი ჩვენი ამჟამინდელი ქართული ელიტა, უფრო სწორად, ეკონომიკურად გაღლეტილი საქართველოს დიდკაცობა და დიდქალობა.

ამ დროს ნახევარი საქართველო უცხოეთში საშოვარზეა გაქცეული, მეორე ნახევარი კი წელებზე და გამხმარ კუჭზე ამაოდ იდგამს ფეხს. ეს ჩვენი დიდად საყვარელი მთავრობა კი დახუჭობანას ეთამაშება ამ წელებზე ფეხდადგმულ მოსახლეობას.

ნუთუ ასე ძნელია, რომ ქვეყნის ამჟამინდელმა თავკაცებმა — პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ — ცალ-ცალკე, თავიანთ გრძელ და განიერ მუხის მაგიდებს, ქვეყნის ამწუთიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, მთელი პრინციპულობით დაჰკრან ექვსი ხელი და ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრონ დროის შესაფერისი, ხალხის ტვინში სისხლის ჩაქცევამდე გამაღიზიანებელი ხელფასების ზღვარი?!

თუ მე, უბრალო მოქალაქემ, 160 ლარი პენსიით უნდა ვიცხოვრო, ნუთუ შენ, ვითომდა ხალხის სამსახურში ჩამდგარო ჩინოვნიკო, 3,4 ან 5 ათასი ლარი ვერ უნდა იმყოფინო?! შენ რა, ჩემგან განსხვავებით, ოცი სტომაქი გაქვს?!.

თუ საერთო გაჭირვებაა, მაშინ ავდგეთ და ყველამ ერთად და შესაბამისად გავიჭირვოთ.

თორემ რა გამოდის? ეს თავისუფლებაც, დამოუკიდებლობაც და დემოკრატიაც თქვენთვის, ახალი ქართული ელიტისთვის, კარგა ჯიშიანი მეწველი ძროხაა, ჩვენ უბრალო მოქალაქეები კი მაგ მარტო თქვენთვის ბლომად მეწველი ძროხის ნეხვის (უფრო კულტურულად კი პატივის) სუნით უნდა დავპურდეთ!

ყველაზე მთავარი უბედურება კი ის არის, რომ თვითონ ამ ჩვენს თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყანაში დგას ამ ნეხვის სუნი, რაც გარკვეული გაბობოლავებული წრისთვის, ჩვენდა სამარცხვინოდ, უამრავი ჯიბის უსამართლოდ გასასქელებელ პატივის სუნად იფრქვევა.

**გურამ წიკლაური**

P. S. **სხვათა შორის, ისიც ცნობილი ამბავია, რომ გერმანელები ლონდონს როცა ბომბავდნენ და დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი საერთოდ არ თბებოდა, სამეფო ოჯახიც ყველა ლონდონელის მდგომარეობაში ჩადგა და უარი თქვა გათბობაზე, თუ გაყინვაა, ყველანი ერთად გავიყინოთო.**

**ვითომ ჩვენი საეჭვოდ გაფულიანებულ-გაყვინიზებული ზეპური საზოგადოებაც ამ აზრისაა?! ან საერთოდ ვითომ ოდესმე ეს აზრი ფეხს მოიკიდებს საქართველოში?!**

**ისემც რა ვუთხარი ჩვენს თითქმის ასზე მეტ პოლიტიკურ პარტიასა თუ უძრავ მოძრაობას თავიანთი მუქთახორულად გამდიდრების წყურვილით უზომოდ შეპყრობილ ლიდერებიანად!..**

**გ. გ.**

# რევოლუციის ტოლფასი ნაბიჯები

**საქართველოს მიერ კორუფციის აღმოფხვრის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, შესაძლოა, რევოლუციური ვერ ვუწოდოთ, მაგრამ შედეგები მართლაც რევოლუციის ტოლფასია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლონდონის 2016 წლის ანტიკორუფციული სამიტის თემატურ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

საქართველოს მთავრობის მეთაურმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს სამიტის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ გამჭვირვალობა, აღსრულება და ცვლილებები კულტურაში, არის სამი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელთაც ასაზრდოებს პოლიტიკური ნება და ტექნოლოგიები და სწორედ ეს ამოძრავებს ანტიკორუფციულ მანქანას.

**„ჩვენ შევქმენით ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე იუსტიციის სახლების ეროვნული ქსელი 20-ზე მეტ ქალაქში და სათემო ცენტრები 30-ზე მეტ მსხვილ სოფელში მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკურ პირებს ყველა სახის მომსახურებით. დღეს კი, ჩვენი რეფორმის ახალი ინიციატივის ფარგლებში, ვაფართოებთ ამ მოდელს, რათა მან დააკმაყოფილოს იურიდიული პირების ნებისმიერი საჭიროება, ანუ ერთ შენობაში, ერთი ფანჯრის პრინციპით მიაწოდოს მათ ყველა სახის მომსახურება, რომელიც იურიდიულ პირს შეიძლება ოდესმე დასჭირდეს ნებისმიერი სამთავრობო უწყებისგან. ეს კიდევ უფრო ამცირებს კორუფციის შესაძლებლობას, რომელიც ისედაც ძალიან დაბალია საქართველოში. ჩვენ დავნერგეთ სახელმწიფო შესყიდვების ყოვლისმომცველი ონლაინ-სისტემა. ამ ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეცვალა შესაბამისი პრაქტიკა საქართველოში. ჩვენ შევიმუშავეთ სახელმწიფო ხაზინისა და ბიუჯეტის ელექტრონული მომსახურების პროგრამები და მივიღეთ კანონები კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების ჩამდენთა ეფექტიანად გასასამართლებლად. რასაკვირველია, უნდა აღვნიშნო პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესების გაუმჯობესებაც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ ამ მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოზე.

პრაქტიკული პარტნიორობის მიმართულებით, გიორგი კვირიკაშვილმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მნიშვნელოვან ინიციატივას ეფექტიანი მმართველობის ფონდის ფარგლებში, რომლის შედეგად, გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო პასუხისმგებლობის ოფისი და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მჭიდროდ თანამშრომლობენ.





კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებად, რომელიც საქართველოში ახლახან განხორციელდა, პრემიერმა მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული შემოწმება დაასახელა.

**„ეს უმნიშვნელოვანესი ცვლილება საგრძნობ გავლენას მოახდენს ჩვენს ანტიკორუფციულ საქმიანობაზე. საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლები უფლებამოსილი არიან, განახორციელონ მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული ინსპექცია. კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიღებული იქნება ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის ზომები. საქართველოში უკვე დაინერგა საკანონმდებლო ინიციატივა კონფისკაციის შესახებ ბრძანებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ეფუძნება გამამტყუნებელ განაჩენს. დღეს პროკურორს აქვს უფლება, სასამართლოში შეიტანოს საჩივარი მოქმედი ან ყოფილი საჯარო მოხელის, ასევე მისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ და სასამართლოსგან მოითხოვოს დაცვის მხარის „არაკანონიერად მოპოვებული“ ან „დაუსაბუთებელი“ ქონების კონფისკაცია, რომელიც აღმოჩენილია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ინსპექციის შედეგად“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილი ასევე გამოეხმაურა სამიტის ერთ-ერთი სესიის დისკუსიას, რომელზეც საერთაშორისო სავალუტო ფონდის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შონ ჰეიგანმა გაიხსენა 1991 წლის საქართველო — სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვეული ქვეყანა, რომელსაც შეიარაღებული დაჯგუფებები ანადგურებდნენ.

**„დღეს კი ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ, მაგალითად, მსოფლიო სამართლის პროექტის მიერ გამოქვეყნებული 2015 წლის ღია მმართველობის ინდექსის თანახმად, საქართველო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 13 ქვეყანას შორის ღია მმართველობის კატეგორიაში. TRACE International-ის ბიზნესისთვის ქრთამთან დაკავშირებული რისკების ინდექსის თანახმად, საქართველო არის მე-11 ადგილზე 197 ქვეყანას შორის, ხოლო გლობალური კორუფციის ბარომეტრის გამოკითხვის (საერთაშორისო გამჭვირვალობა) თანახმად, საქართველოში გამოკითხულთა 4 პროცენტზე ნაკლები აცხადებს, რომ ოდესმე მიუცია ქრთამი. ეს კი ღირსშესანიშნავი შედეგებია. რასაკვირველია, დამოუკიდებლად ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს არსებით შედეგებს. შედეგები მიიღწევა მხოლოდ ჩვენი საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაციის გზით. რაც მეტი ქვეყანა დანერგავს გამჭვირვალობის გაუმჯობესებულ სტანდარტებს, მით უფრო საგრძნობი იქნება შედეგები მთელს მსოფლიოში“,** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# საქართველო - საუდის არაბეთი დამეგობრდნენ

**ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-შეთანხმებას. შეთანხმების ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა. დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ, ხოლო საუდის არაბეთის მხრიდან საქართველოში საუდის არაბეთის სამეფოს ელჩმა მესაად იბრაჰიმალსულაიმმა.**





აღნიშნული ჩარჩო-შეთანხმება წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის საფუძველს, რომელსაც შემდგომში მოჰყვება ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება სხვადასხვა სფეროებში. დოკუმენტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის თანამშრომლობის განვითარებას მრავალი მიმართულებით, მათ შორის ისეთი სფეროებში, როგორიც არის ვაჭრობა და ინვესტიცია, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სხვა.

საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით აღნიშნული ხელშეკრულება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობაში.

# „სააკაშვილის ბურჭულაძე“ ბუნებაში არ არსებობს!

## საჭიროა თუ არა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება?



### ნომრის სტუმარია ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი

**— ბატონო სოსო, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ახალი მოთამაშე შეემატა პაატა ბურჭულაძის პარტიის სახით. თქვენ როგორ შეაფასებთ მსოფლიო ბანის ამ ნაბიჯს?**

— ეს არ იყო დიდი მოულოდნელობა საზოგადოებისთვის. ასეთი მოლოდინი არსებობდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც „საქართველოს განვითარების ფონდის“ 20-ზე მეტი ოფისი დაფუძნდა რეგიონებში. ისინი, დიდი ალბათობით, პარტიის — „სახელმწიფო ხალხისთვის“ საყრდენ წერტილებად გადაიქცევიან. ბატონი პაატა მიმზიდველია თავისი პროფესიონალიზმით, საკუთარი წარსულითა და გზით, რომელიც განვლო, როგორც აქტიურმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ. ჩვენი ამომრჩევლების დიდი ნაწილისთვის ის წარმატებებისა და სიკეთის სიმბოლოა, რაც ასე აკლია დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს...

**— მაგრამ რა შეიძლება ითქვას მასზე, როგორც პოლიტიკოსზე?**

— როგორც პოლიტიკოსი, ცხადია, ის საკუთარი პოზიციების გამყარების პროცესშია. მას აქვს სერიოზული მიღწევები საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმების შერჩევაში. გუნდი, რომელიც მის ირგვლივ შეიკრიბა საკმაოდ საინტერესოა. ისინი არიან ახალგაზრდები, პროფესიონალები, უცხოეთში განათლებამიღებულნი, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული პოტენციალი...

**— მათ შორის არიან ნაციონალური მოძრაობის აშკარა მხარდამჭერებიც. ზოგადად, რამდენად ეთანხმებით იმ გავრცელებულ აზრს, რომ პაატა ბურჭულაძე სააკაშვილის პროექტია?**

— ბატონი პაატა წინასწარ შეაჩვიეს იმ აზრს, რომ ის უნდა დამშვიდობებოდა ტაშსა და ოვაციებს და მოუწევდა მოსმენა მისთვის წარმოუდგენელ თემებზე აგორებული ჭორებისა და ცილისწამებებისა. „სააკაშვილის ბურჭულაძე“ ბუნებაში არ არსებობს! მახსენდება 2009 წელი, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ საჯაროდ შეაჩვენა „მოღალატე ბურჭულაძე“, როდესაც მან მოსკოვში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა. პაატა ბურჭულაძე, ასეთი თვითკმარი ადამიანი, რომელსაც არ ეშლება თეთრი და შავი, დარწმუნებული ვარ, რაიმე სახის სანდო პარტნიორად არ აირჩევდა არც სააკაშვილს და არც სააკაშვილის შეგირდ — ადეიშვილს.

> **მახსენდება 2009 წელი, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ საჯაროდ შეაჩვენა „მოღალატე ბურჭულაძე“, როდესაც მან მოსკოვში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა. პაატა ბურჭულაძე, ასეთი თვითკმარი ადამიანი, რომელსაც არ ეშლება თეთრი და შავი, დარწმუნებული ვარ, რაიმე სახის სანდო პარტნიორად არ აირჩევდა არც სააკაშვილს და არც სააკაშვილის შეგირდ — ადეიშვილს.**

**— თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე, გამოდის, რომ პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ შანსები საკმაოდ მაღალია.**

— ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება კარს მომდგარი არჩევნების სამართლიანობის ხარისხზე...

**— თქვენ ახსენეთ სააკაშვილი და ადეიშვილი — როგორც მისი შეგირდი, თუმცა, ვაშაძის მიერ ნაციონალური პარტიის დატოვების შემდეგ, მედია სააკაშვილ-ადეიშვილის დაპირისპირებაზე ალაპარაკდა... როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელს სააკაშვილის დაკომპლექტებული ათეული არ მოეწონა.**

— ჩემთვის ადვილი გასაგებია ადეიშვილის აღშფოთება, როცა ნაციონალური სიის სათავეში მელიები, მგლები და ტურები მოხვდნენ. იმდენად დიდია ადეიშვილის წვლილი 9 წლის განმავლობაში მიღებულ სახელისუფლებო ქმედებებზე, რომ, ბუნებრივია, მას აქვს პრეტენზია, მისი ფავორიტები იყვნენ პირველ ხუთეულში. საარჩევნო სია არ დაკომპლექტდა იმ თანმიმდევრობით, როგორც ამას ადეიშვილი ითხოვდა. ასე რომ, ძალიან ნუ ვწუხვართ იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობის სიაში არ ჩანან „გენიოსების“ შთამომავლები, თუ კიდევ უფრო მაღალი გონიერებისა და პიროვნული თვისებების მატარებლები.

ფაქტია, რომ ნაციონალებმა თავად დაკარგეს საკუთარი ხმები და ახლა ეს ხმები შარაგზაზე არის მიმოფანტული. ამ პარტიის რღვევა გრძელდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიშა სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ფინანსები უფრო მეტად აინტერესებთ, ვიდრე რომელიმე სახელი და გვარი მათივე პოლიტიკურ სივრცეში...

**— ბატონო სოსო, რა ბედი ელით „რესპულიკელებს“, რომლებიც გასული კვირების განმავლობაში ტოპ-საინფორმაციო ათეულის სათავეში არიან მოქცეულნი, მათივე სკანდალური განცხადებების გამო?**

— „რესპუბლიკელები“ ყველაზე მყარ პოლიტიკურ ჯგუფად მეგულებოდა, მაგრამ უკანასკნელ დღეებში ჩათრეულნი აღმოჩნდნენ იმ დისკუსიებში, რომელიც მათ ნამდვილად არ რგებს და მეტიც, არც ეკადრებათ. ამის მიუხედავად, ამ პოლიტიკური გაერთიანების თითოეული ინდივიდი მაღალი კვალიფიკაციის მქონეა, ხოლო თავად პარტია, როგორც ჩანს, უფრო ძლიერ ხელმძღვანელობას საჭიროებს. საჯარო ეთერი უნდა იყოს გაჯერებული მათი შეთანხმებული განცხადებებით, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს მოულოდნელი, ერთმანეთს აცდენილი კომენტარები...

**— როგორია მათი შანსები ამ არჩევნებზე, როგორც კოალიციის მიღმა დარჩენილი სუბიექტისა?**

— შანსები, რა თქმა უნდა, აქვთ ნაკლები, ვიდრე ეს ჰქონდათ 2012 წელს, როცა ისინი კოალიციურ გუნდს წარმოადგენდნენ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად.

**— დღეს გაიმართება „ქართული ოცნების“ ყრილობა. თქვენ, როგორც ანალიტიკოსს, რა მოლოდინები გაქვთ, როგორია თქვენი პროგნოზი?**

— მოლოდინი ნამდვილად იმაზე ნაკლები მაქვს, ვიდრე მქონდა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ყრილობაზე სტუმრობისას. გავიდა წლები და ჩემი იმედგაცრუებაც საკმაოდ დიდია. სიურპრიზი, არა მგონია, იყოს ყრილობის დასრულების შემდეგ და არც რამე განსაკუთრებულს ველოდები.

აი, მეჭიაური იქადნება, რომ ყრილობაზე თუ არ გაიზიარებენ მის მსოფლმხედველობას, მან შეიძლება „გაგვაუბედუროს“ და პარტია დატოვოს. ამავე დროს, საკმაოდ ოპტიმისტურად ჟღერს ჩვენი პრემიერ-მინისტრის განცხადება ლონდონიდან, რომ საქართველოში არ შეექმნება საფრთხე არსებული დემოკრატიას და არც დასავლური ორიენტაცია შეიცვლება.

**— „ოცნების“ ოთხწლიანი საგარეო კურსი ამართლებს თუ არა გიორგი კვირიკაშვილის სიტყვებს?**

— „ოცნების“ წევრების განცხადებათა უმრავლესობაში ეს ტენდენცია იკვეთებოდა. თუმცა, მე ვისურვებდი, რომ თავად ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებში ყოფილიყო ხშირად ნახსენები სიტყვა „ნატო“. არ ვიცი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, რატომღაც „ნატო“ დაივიწყა და ახლა ეს სოლიდური გაერთიანება მეჭიაურის დასამუნათებელი სიტყვა გახდა...

**— თუმცა, არც მეჭიაურია მაინცდამაინც დროსა და სივრცეს აცდენილი, რადგან ნატოს რაც უფრო ვუახლოვდებით, მით უფრო შორეულ პერსპექტივად გვეჩვენება...**

— განსხვავება ჩემსა და მეჭიაურს შორის ის არის, რომ მართალია, ვთანხმდებით, რომ წელს ვარშავის სამიტზე ნატოს წევრი ვერ გავხდებით, მაგრამ მე ეს მწყინს, მას კი უხარია!

**— და ბოლოს, თქვენი აზრით, გადაარჩენს „ქართულ ოცნებას“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება?**

— ეს იქნებოდა პოლიტიკოს „კამიკაძის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. რადგან ეს დააზარალებს პარტიას, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ჯანსაღი ნაწილი პოლიტიკოსებისა. მკაცრი პოლიტიკური დისციპლინის მიუხედავად, მათ ქვეცნობიერად აწუხებთ ის აზრი (როგორც მათ ამომრჩეველს), რომ არ ელოდნენ იმ შედეგს, რომელიც 2016 წლის არჩევნების წინ დადგა!

ესაუბრა
**თეა მოსია**

## გომელაურსაც კარგი ნერვები ჰქონია

**პარლამენტში** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურის მოსმენა მეორედაც ვერ შედგა. პლენარული სხდომის დღის წესრიგის მიხედვით, დეპუტატებს ხუთშაბათს გომელაურის წლიური ანგარიში უნდა მოესმინათ, რომლის დასრულების შემდეგაც მათ უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელისთვის შეკითხვები უნდა დაესვათ, თუმცა სხდომაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა, რის გამო გომელაურის მოსმენა პარლამენტში ისევ გადაიდო.

„ძალიან დიდ პატივს ვცემ პარლამენტს, კანონებს. ერთხელ ვიყავი ჩამოსული, ახლა მეორედ მომიწია ჩამოსვლა, რათა იყო ათასი მითქმა-მოთქმა — არ ჩამოვიდა, წავიდა, არ დაესწრო. ამიტომ მეორედ ჩამოვედი. პოლიტიკურ შეფასებას არ გავაკეთებ. შეხვედრები დაგეგმილია, სტუმრები გვყავს, უცხოელები ჩამოდიან. შევეცდები, რომ უახლოეს დროში ჩამოვიდე“, — აღნიშნა გომელაურმა.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს ანგარიში 30 მარტს უნდა წარედგინა, თუმცა კვორუმის არარსებობის გამო მისი მოსმენა ვერ მოხერხდა.

## დასასჯელი აუცილებლად დაისჯება



**სახელმწიფო** უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმის გამოძიებაში სუს-ი და შსს-ც მონაწილეობენ. გომელაურის თქმით, მისი უწყება მთავარ პროკურატურას ტექნიკურად ეხმარება.

„ამ საქმეს პროკურატურა იძიებს, როგორც მოგეხსენებათ. გამოძიებიდან გამომდინარე, ამაზე განცხადებას ვერ გავაკეთებ. ჩვენც და შინაგან საქმეთა სამინისტროც ამ მიმართულებით კადრების გავრცელების საქმეზე ვმუშაობთ, თუმცა ალბათ, თუ იქნება საჭირო, პროკურატურა გააკეთებს ამაზე განცხადებას. მე ხშირად მესმის, რომ არის ფარული მიყურადება, ფარული თვალთვალი, თუმცა ერთი ფაქტიც პროკურატურაში რომ მიიტანონ, მე მზად ვარ, პასუხი ვაგო ამ ყველაფერზე და თუ დასასჯელი იქნება ესა თუ ის ადამიანი, ის დაისჯება. ეს არაერთხელ მომხდარა ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს“, — განაცხადა გომელაურმა.

## სტუდენტები და მკვლევარები ევროკავშირის ქვეყნებში დარჩენასა და დასაქმებას შეძლებენ

**ევროპარლამენტმა** ახალი რეგულაცია მიიღო. ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული პრესრელიზის თანახმად, ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების სტუდენტები და მკვლევარები, სწავლისა თუ კვლევითი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, ევროკავშირის ტერიტორიაზე სულ მცირე 9 თვით შეძლებენ დარჩენასა და დასაქმებას. მათთვის ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილებაც მარტივდება. ანუ, ახალი რეგულაციის ამოქმედების შემდეგ მათ აღარ დასჭირდებათ ახალი სავიზო აპლიკაციის შევსება. საჭირო იქნება მხოლოდ შეატყობინონ წევრ სახელმწიფოს, სადაც აპირებენ ჩასვლას, მაგალითად ერთი გაცვლით სემესტრზე დასწრების მიზნით. გარდა ამისა, სტუნდეტებს მიეცემათ უფლება, კვირაში 15 საათი იმუშაონ. მკვლევარებს კი ექნებათ საშუალება, ჩავიდნენ უფრო ხანგრძლივი პერიოდით, ვიდრე ამჟამად არის დაშვებული. მკვლევარებისთვის სხვა შეღავათიც ამოქმედდება — მათ უფლება მიეცემათ, თან წაიყვანონ ოჯახის წევრები, რომლებსაც ევროპაში ყოფნის პერიოდში მუშაობის უფლება ექნებათ. რეგულაცია კიდევ ერთ სიახლეს ითვალისწინებს: მისი ამოქმედების შემდეგ ევროპული სამოხალისო პროგრამების სტაჟიორებისთვის და მოხალისეებისთვის დაწესდება ევროკავშირში ჩასვლის ერთიანი პირობები და უკეთესი დაცვითი მექანიზმები მათი იქ ყოფნის პერიოდში. ახალი რეგულაცია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეორე დღეს შევა ძალაში. წევრმა სახელმწიფოებმა კი რეგულაცია საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში მაქსიმუმ 2 წელიწადში უნდა შეიტანონ.

# ტაკუნებაქავებულნი თანასწორობის აღიარებას ელტვიან!

**დემოკრატია ბერძნული სიტყვაა, რაც ხალხის მმართველობას ნიშნავს. უფრო ზუსტად ამ ტიპის მმართველობა უმრავლესობის მიერ უმცირესობის მართვას გულისხმობს. ასეთ პოლიტიკურ წყობას, გნებავთ სისტემას გარკვეულწილად შეიძლება უმრავლესობის დიქტატურაც კი ვუწოდოთ უმცირესობის მიმართ, მაგრამ, რადგანაც ეს „დიქტატურა" კაცობრიობის მიერ მრავალი საუკუნის წინათ აღიარებულ 10 მცნებას ემყარებოდა, რაც ყველა ტრადიციული რელიგიური კონფესიების საფუძველია, თანამედროვე საზოგადოებამ უმრავლესობის ასეთი „ძალადობა" უმცირესობაზე გამართლებულად მიიჩნია, რადგან სწორედ ათი მცნებიდან გამომდინარე, ზნეობითა და მორალით განირჩევა ადამიანი პირუტყვისგან!**

ასეთი ცხოვრებით ცხოვრებას მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდა კაცობრიობა ულსოვარი დროიდან, განსაკუთრებით ქრისტეშობის შემდეგ, ვიდრე დღემდე, მაგრამ სწორედ დღეს, ვითომდაც კულტურისა და პროგრესის 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, კაცობრიობას ისეთი ვერაგი მტერი გამოუჩნდა, რომლის მსგავსი გერმანული ფაშიზმის შემდეგ არა ჰყოლია და ამ მტერს სოდომის ცოდვის დაკანონება, ერთსქესიანთა ქორწინებები ჰქვია!

სხვათა შორის ფაშიზმის და ლგბტ მოძრაობის მშობელი „განათლებული" ევროპაა, საიდანაც ამ უკანასკნელმა პურიტანულ ამერიკაშიც შეაღწია და გასული წლის ზაფხულში ამერიკის ყველა შტატში დაკანონდა ერთსქესიანი ქორწინებები და აბა მათი სატელიტი ევროკავშირი რაღა საკითხავია — ევროპის უმრავლეს ქვეყნებში დე იურე და დანარჩენებში დეფაქტოდ აღიარებულია ერთსქესიანთა ქორწინებები პლიუს, ლგბტ-პედერასტების განსაკუთრებული პრივილეგიები, რამაც, ზემოთ ხსენებული კლასიკური განმარტება დემოკრატიისა, თავდაყირა დააყენა და ახლა **დემოკრატია** კი არა **დემოტრაკია** მეფობს ამერიკა-ევროპაში, რაც უღმერთო სატანისტი უმცირესობის დიქტატურაა, მორალურ და ზნეკეთილ უმრავლესობაზე — ახლა აშშ ლგბტ-პედერასტების მექა. ის აშშ, სადაც სულ რაღაც 35-40 წლის წინათ მამათმავლობისთვის ციხეში სვამდნენ, ახლა შეიძლება ჰომოსექსუალიზმის კრიტიკისთვის აქეთ დაგაპატიმრონ!

ჰომოსექსუალიზმის მთავარი სამიზნე ოჯახი და ეკლესიაა. ამაში მას ეხმარება იუვენალური იუსტიცია. იუვენალური იუსტიცია მშობლებისაგან მოითხოვს თავიანთი შვილებისათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. ყოველწლიურად ასიათასობით ბავშვს ართმევენ მშობლებს სხვადასხვა მიზეზით. მათ შორის, იმ მოტივით, თუ მცირე შემოსავლიანი მშობლები ვერ ამყოფებენ შვილს ფუფუნებაში; თუ მშობელი დაუშლის შვილს გამრყვნელ გაკვეთილებზე დასწრებას სკოლაში; თუ მშობელი ასწავლის შვილს შრომისმოყვარეობას; თუ ცდილობს, აღზარდოს შვილი საზოგადოებაში მიღებული კულტურის, რწმენის, ტრადიციების მიხედვით; მშობლებს არა აქვთ უფლება, განსაზღვრონ შვილების სექსუალური ორიენტაცია. მშობლებს უკვე არაფრის უფლება აღარ აქვთ. ირღვევა მრავალსაუკუნოვანი ოჯახური იერარქია.

**ჩემი ინფორმაციით, სწორედ 17 მაისს აპირებენ ლგბტ-პედერასტები გეი-აღლუმის ჩატარებას, რათა ბოლოს და ბოლოს უპატაკონ ოკეანესგაღმელ სპონსორებს, რომ თბილისის თავზე პედერასტული დროშა ფრიალებს!**

ჰომოსექსუალები ხელში იგდებენ საინფორმაციო სივრცეს, აკანონებენ თავიანთ ცოდვას, როგორც ცხოვრების ნორმას. „ხელოვნების", მუსიკის, კინოს, მხატვრობის, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მიმდინარეობს „გეი-კულტურის" პროპაგანდა.

ევროსაბჭოში შესვლის მსურველებს მათი ამ ახალი „ღირებულებების" მიღება მოეთხოვებათ. ჩვენს თვალწინ ხდება ოჯახის ნგრევის საერთაშორისო პროგრამის რეალიზება.

ჰომოსექსუალურ წყვილს, ბუნებრივია, არ შეიძლება ჰყავდეს შთამომავლობა. ჰომოსექსუალიზმს ადამიანის მოდგმის გადაგვარებამდე მივყავართ. ღმერთმა მოდგმის გაგრძელებისთვის შექმნა კაცი და ქალი. მათ კავშირს, ქორწინებას ემყარება კაცობრიობის გამრავლება, რეგენერაცია. ამის საპირისპიროდ, ერთნაირსქესიანი ქორწინებები ემსახურება არა რეგენერაციას, არამედ დეგენერაციას, დემოგრაფიულ კატასტროფას, გენოციდსა და გადაგვარებას.

როგორც აღვნიშნეთ, ჰომოსექსუალისტებისთვის ორი სტრუქტურის დანგრევაა მნიშვნელოვანი — ოჯახისა და ეკლესიის.



ბრიტანული კომპანია CAN elsen, რომელმაც გამოკითხვა 41 ქვეყანაში აწარმოა, მივიდა დასკვნამდე, რომ დღევანდელი ტენდენციების პირობებში ქორწინების ინსტიტუტი მხოლოდ 2050 წლამდე თუ გასტანს.

ამერიკის „ეკლესიების" 90% ამბობს, რომ ეს გადაგვარების ადეპტები, ჰომოსექსუალები უნდა გვიყვარდეს და ავითარებენ აზრს, რომ ისინი ისეთებად უნდა მივიღოთ, როგორნიც არიან, და რომ მათ უნდა მივცეთ ყველაფერის კეთების უფლება, ყოველივე იმისა, რაც მათ მოეპრიანებათ.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ლენინის ინიციატივით დაიწყო სექსუალური რევოლუცია (იმ დროინდელი ცნობილი ლოზუნგია „комсомолка комсомльцу не откажет"), ასევე გაუქმდა ჰომოსექსუალიზმის სისხლის სამართლებრივი დევნა. მაგრამ დაინახა რა სტალინმა ჰომოსექსუალიზმის ასეთი თავისუფლების დამანგრეველი შედეგები სახელწიფოსთვის (და პირველ რიგში ჯარისთვის), საბჭოთა ხელისუფლებამ 1934 წელს შეიტანა სათანადო ნორმები სისხლის სამართლის კოდექსში.

ეს, ისე, ცნობისთვის...

ჩვენი პარლამენტი სულ მალე შეიტანს კონსტიტუციაში ცვლილებებს, სადაც ჩაიწერება, რომ „ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობა და ამიტომ საქართველოში ვერასოდეს დაკანონდება ერთსქესიანი ქორწინებები"... და მამუნათებს მავანი, მაგრამ რომ არ არის ასე?!

კონსტიტუციის გარდა არსებობს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა შარშან ვნების კვირაში (?!) ზარ-ზეიმით დაამტკიცა. კანონი, რომლის საფუძველზეც ცდილობენ ჩვენში იუვენალური იუსტიციის ამოქმედებას.

თუმცა, რაღა ცდილობებ?

ამას წინათ და ისევ ვნების კვირაში (!!!) ორი მოსმენით მიიღეს იუვენალური იუსტიციის კანონის ქართული ვარიანტი, ერთი შეხედვით უწყინარი დასახელებისა: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც შინაარსით იგივე იუვენალური კანონია, რომელმაც დაღუპა ერთ დროს ქრისტიანული მორალისა და კულტურის ევროპა!

თუმცა, როგორც იტყვიან, თვალი დაუდგეს ევროპას და ჩვენ, ჩვენი ვიკითხოთ.

თბილისში გეი-პარადის ჩატარების პირველი მცდელობა, 2012 წლის 17 მაისს ჰქონდათ ქართველ ლგბტ-პედერასტებს, რომლის ჩაშლაშიც სხვებთან ერთად თქვენმა მონა-მორჩილმაც მივიღე აქტიური მონაწილეობა!

შემდეგი მცდელობა 2014 წლის 17 მაისს ჰქონდათ, რომელიც უკვე ათიათასობით ქართველმა და არაქართველმაც, „ტაბურეტკიან" მღვდლებთან ერთად ჩავუშალეთ ქართველ სოდომისტებს, ლგბტ-პედერასტებს, რომელთა დასაცავად მეორე დღეს პარლამენტის შენობასთან თბილისში აკრედიტებული მთელი დასავლეთის დიპ-კორპუსი გამოვიდა „მიტინგობიაზე"?..

მას მერე ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდისა და ტრადიციების დაცვის დღედ და აბა რაღას გაბედავდნენ — დღემდე გაყურსულები არიან ლგბტ-სექტანტები, მაგრამ...

ჩემი ინფორმაციით, სწორედ 17 მაისს აპირებენ ლგბტ-პედერასტები გეი-აღლუმის ჩატარებას, რათა ბოლოს და ბოლოს უპატაკონ ოკეანესგაღმელ სპონსორებს, რომ თბილისის თავზე პედერასტული დროშა ფრიალებს იმის იმედად, რომ წინასაარჩევნოდ ამერიკის და ევროპის „მოკავშირე" ხელისუფლება არათუ ხელს შეუშლის, არამედ პოლიციური კორდონით უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოდ ჩავლას რუსთაველის გამზირზე, რაც სრულიად საქართველოს ვირტუალური გაუპატიურება იქნება!

ამიტომ ნუ გვექნება ქართველ საზოგადოებას ჩვენი უსუსური ხელისუფლების იმედი. მით უმეტეს იმ პარლამენტისა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, გასულ ვნების კვირაში 2 მოსმენით მიიღო იუვენალური იუსტიციის კანონი და ნურც იმ სატყუარას წამოვეგებით, რომ ვითომდაც მართლა სურთ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა — არჩევნებამდე „ვერ მოასწრებენ" და არჩევნების შემდეგ თუ ისევ ნეოლიბერალური უმრავლესობით იქნება პარლამენტი წარმოდგენილი, მომავალ ვნების კვირაში კვლავ ავნებენ საქართველოს და ვინძლო ერთნაირსქესიანი ქორწინებებიც დაგვიკანონონ!

ზემოთ დასავლეთელ პედერასტთა მიერ განვლილი ეტაპებისა ვთქვით და აქედან გამომდინარე, ჩვენი პედერასტები მეორე ეტაპზე იმყოფებიან — თანასწორობის აღიარებას ელტვიან, რასაც თუ მიაღწიეს, დომინოს პრინციპით მოჰყვება ჯერ პრივილეგიების დაკანონება მათთვის და შემდეგ უკვე ჩვენ, ნორმალურ საქართველოს მოქალაქეებს აქეთ დაგვიწყებენ დევნას, როგორც სდევნიან ნორმალურ ამერიკელებსა და ევროპელებს იქ, დასავლეთში და იუვენალური კანონის ძალით ქართველი ბავშვების გაშვილებას ევროპა-ამერიკის ერთნაირსქესიან „ოჯახებში" ხომ ვეღარაფერი დაუდგება წინ!



**დავით მხეიძე**

◎ სრულიად სერიოზულად

# იგორ გიორგაძე: სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს!

**რუსული პოპულარული გამოცემა „Известия" სტატიას აქვეყნებს, რომლის ავტორიც გახლავთ.... იგორ გიორგაძე (საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრი 1993-95 წლებში, ამჟამად კი რეგიონული საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო საზღვარგარეთ" ხელმძღვანელი).**

სტატიაში განხილულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსპექტივა — შესაძლებელია თუ არა მისი დაბრუნება საქართველოში? პუბლიკაციაში ჩამოთვლილია ავტორის შეხედულებით, ექს-პრეზიდენტის მიერ ჩადენილი დანაშაულობები. ავტორის აზრით, მიხეილ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს და სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს.



**„მიხეილ სააკაშვილი უკვე გადამუშავებული მასალაა. სანამ იგი ხელისუფლებაში იყო, მას ებრძოდნენ და 2012 წელს დაამარცხეს კიდეც. სხვა საქმეა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან მისი მხარდამჭერები: დეპუტატები, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები... ისინი აქტიურად ემზადებიან არჩევნებისათვის. ჰოდა, როგორც მიხეილ სააკაშვილი გვპირდება, იგი სწორედ მათი გამარჯვების შემდეგ დაბრუნდება საქართველოში.**

**გვერდზე გადავდოთ ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილმა თვითონ დათმო საქართველოს მოქალაქეობა და გავიხსენოთ მისი საქართველოდან გაქცევა-გაძევების ისტორია. იგი ჩადენილი დანაშაულების გამო გაიქცა: მკვლელობებისთვის, წამებისთვის, თანაც ისეთი წამებისთვის, რაც გესტაპოელებსაც კი არ დაესიზმრებოდათ.**

**დღეს უკრაინაში რაღაც უცნაური ექსპერიმენტები ტარდება: კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისთვის იძებნება, მეორე ქვეყნის გუბერნატორად დანიშნულიყოს. იგი უნდა გასამართლდეს და სასჯელის მაქსიმალური ზომა უნდა მიესაჯოს - მუდმივი პატიმრობა. ვიმედოვნებ, რომ ასეც მოხდება. თუ ამას ქართველები ვერ შეძლებენ, მაშინ ამას უკრაინელები განახორციელებენ. უკრაინის ხელისუფლებაში ბევრი უკვე მიხვდა, თუ ვინაა და რა ფიგურაა მიხეილ სააკაშვილი. გარდა ამისა, ექს-პრეზიდენტს უამრავი პირადი მტერი ჰყავს - მან ხომ უამრავი ოჯახი გააუბედურა...**

ალბათ, როცა საბჭოთა კავშირი - „წითელი იმპერია" — ინგრეოდა, ჩვენმა ხალხმა წინაპართა სიბრძნე დაივიწყა. (1990-იან წლებში და მას შემდეგაც საქართველოში) ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული და, როგორც ჩანს, ღმერთმა დაგვსაჯა. საბოლოოდ, ქართველმა ხალ-

# მაიკლ კარპენტერი: ვფიქრობ, თინა ხიდაშელს ესმის, რომ ვარშავის სამიტზე საქართველო მაპ-ს ვერ მიიღებს

**„Radio Voice of America" აქვეყნებს ინტერვიუს აშშ-ის თავდაცვის მდივნის მეორე მოადგილე მაიკლ კარპენტერთან, რომელიც რადიოსადგურს საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე და რუსეთის აგრესიის შესაკავებლად ვაშინგტონის პოლიტიკაზე ესაუბრა.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" ამ ინტერვიუს გვთავაზობს.**

**„ამერიკის ხმა": პირველ შეკითხვას ნატოში აშშ-ის ელჩის განცხადების შესახებ დაგისვამთ. მან თქვა, რომ მართალია, ალიანსის კარი ღიაა, მაგრამ საეჭვოა, უახლოეს მომავალში ნატომ ახალი წევრები მიიღოს. მისივე თქმით, ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ნატოს გაფართოებამ შეიძლება, რუსეთი გაანაწყენოს. როგორ აფასებთ ამ განცხადებას? თქვენი აზრით, როგორ წაიკითხავენ მას საქართველოსა და სხვა ასპირანტ ქვეყნებში და რას იფიქრებს რუსეთი?**

**მაიკლ კარპენტერი:** ამერიკა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს. ვიზიარებთ ბუქარესტის 2008 წლის სამიტის დეკლარაციაში გამოხატულ პოზიციას, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. ეს პოზიცია ნატოს ჩიკაგოსა და უელსის სამიტების დროსაც დადასტურდა. ამგვარად, აღნიშნულ საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება უცვლელია. გაგვაჩნია ყველა ქმედითი საშუალება — მათ შორის, ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა — რათა საქართველოს ალიანსთან დაახლოებაში დავეხმაროთ. მიხარია, რომ მოკავშირეებმა მონტენეგრო ალიანსში მიიწვიეს. ახალი წევრის ნატოში მიწვევა იმის საუკეთესო დასტურია, რომ ალიანსის კარი ღიაა.

**„ამერიკის ხმა": მიგაჩნიათ, თუ არა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიას იმ პირობებში, როდესაც რუსეთი აგრძელებს აგრესიასა და პროპაგანდისტულ ომს ევროპის აღმოსავლეთში. ეთანხმება თუ არა დასავლეთი გენერალ ბრიდლავის განცხადებას, რომ რუსეთის ნაბიჯები ევროპისა და დასავლეთის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს?**

**მაიკლ კარპენტერი:** ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის აგრესიამ უკრაინაში ალიანსი აიძულა, კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გადაეხედა, თუ რამდენად უსაფრთხოა საკუთრივ ალიანსის მდგომარეობა. უკრაინაში (რუსეთის) აგრესიის შემდეგ, ნამდვილად საჭირო გახდა, ალიანსმა შემაკავებელი და თავდაცვითი საშუალებები გააძლიეროს. უკრაინის მოვლენები საერთაშორისო წესრიგის საფუძვლების მოშლას ნიშნავს. ესაა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის იმ პრინციპების ხელყოფა, რასაც ჩვენ, დასავლეთის საზოგადოება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელშეუვალ პრინციპებად მივიჩნევთ. დიახ, ალიანსი ახალ ვითარებასა და საფრთხეებთან ადაპტაციას ახდენს. შევნიშნავ, რომ რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც გასული წლის დეკემბერში მიიღეს, ნატოსა და შეერთებულ შტატებს რუსეთის საფრთხეებად ასახელებს. ამიტომ, რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ. ჩვენ ფულს ვხარჯავთ შემაკავებელი და თავდაცვითი საშუალებების გაძლიერებაში. ნატომ მზადყოფნის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ევროპელი მოკავშირეებისთვის შეკავებისა და თავდაცვის პროგრამების დაფინანსებას აოთხმაგებს და 3.4 მილიარდ დოლარამდე გაზრდის. ეს თანხა სხვადასხვა ამოცანებს მოხმარდება, მათ შორის, საროტაციო ძალების გაძლირებასა და უფრო მეტი თანამედროვე საბრძოლო აღჭურვილობის განთავსებას ევროპაში, განსაკუთრებით, ალიანსის აღმოსავლეთის ფლანგზე. თანხა დაიხარჯება უფრო მეტ ტრენინგსა და სამხედრო წვრთნებში, აგრეთვე ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა კრიზისულ ვითარებაში სწრაფად იმოქმედონ. შეერთებული შტატები რეგიონში ნატოს არაწევრ პარტნიორებსაც დაეხმარება, რათა აგრესიულ რუსეთთან დაპირისპირებაში მათი სუსტი მხარეები მაქსიმალურად აღმოიფხვრას. ეს დიდი პროგრამაა და ბევრ მიმართულებას მოიცავს, მაგრამ დიახ, ალიანსიცა და შეერთებული შტატებიც თვალს უსწორებენ ახალ გამოწვევებს.



**„ამერიკის ხმა": შესაძლებელია თუ არა ნატოსა და საქართველოს დაახლოება მომდევნო რამდენიმე წელიწადში? რა შედეგით დასრულდება ვარშავის სამიტი საკუთრივ ალიანსისა და საქართველოს მსგავსი ასპირანტებისთვის?**

**მაიკლ კარპენტერი:** ნატოსა და საქართველოს ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ. საქართველო ნატოს ავღანეთის მისიაში შეიარაღებული ძალების მეორე უმსხვილესი კონტრიბუტორია. მან იქ 850 ჯარისკაცი წინაპირობების გარეშე გაგზავნა. ქართველი ჯარისკაცები ძალიან უნარიანი მეომრები არიან. დიდად ვაფასებთ საქართველოს წვლილს ავღანეთში და იქამდე ერაყში. საქართველო ნატოს ერთადერთი არაწევრი მოკავშირეა, რომელიც ნატოს სამხედრო მისიაში მონაწილეობს. ამგვარად, საქართველო ნატოს სხვადასხვა ინიციატივებში აქტიურადაა ჩართული. ველოდები, რომ ვარშავის სამიტის დეკლარაციაში, რომელიც ივლისში გამოქვეყნდება, ნატო-საქართველოს ყოვლისმომცველ პაკეტზეც იქნება საუბარი, ნატოელი მოკავშირეები კი ორმხრივ ფორმატებში ითანამშრომლებენ საქართველოსთან. შეერთებული შტატები საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან უფრო მეტ ერთობლივ წვრთნებს გამართავს.



**„ამერიკის ხმა": როგორ დაახასიათებთ აშშ-საქართველოს ურთიერთობებს თავდაცვისა და სამხედრო სფეროში? რა მნიშვნელობას ანიჭებს ვაშინგტონი ამ ურთიერთობებს?**

**მაიკლ კარპენტერი:** სამხედრო ურთიერთობები შესანიშნავ დონეზეა. ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ რას ვაფასებთ ამ ურთიერთობებში — ჯარისკაცების შთამბეჭდავ რიცხვს, რომელიც საქართველომ ავღანეთში გაგზავნა. ისინი საუკეთესო ჯარისკაცები არიან. საქართველომ 30 მეომარი დაკარგა და დაახლოებით 300 დაუშავდა. საქართველო თავს არ ზოგავს. ჩვენ ყოველ წუთს მადლიერნი ვართ მისი. ქართველი ჯარისკაცები უოლტერ რიდის სამხედრო ჰოსპიტალშიც მკურნალობენ. ამგვარად, საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლის უშუალო თვითმხილველნი ვართ. ვფიქრობ, საქართველოსთან ერთად უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია. ვმსჯელობთ, თუ რა ერთობლივი წვრთნები დავუმატოთ უკვე არსებულ ფორმატებს, რომელთა მიზანი ავღანეთის მსგავსი საექსპედიციო მისიებისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებაა. აგრეთვე ვფიქრობთ, რა დამატებითი საშუალებები არსებობს, რათა საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში დავეხმაროთ.

**„ამერიკის ხმა": ვიცით, რომ ალიანსში ახალი წევრის მისაღებად ნატოს წევრი 28 სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო. რა რეკომენდაციას, მითითებას, იმედს, გნებავთ, შენიშვნას მისცემთ საქართველოს მთავრობას, რომელიც ალიანსთან დასაახლოებლად თავის წილ სამუშაოს ასრულებს?**

**მაიკლ კარპენტერი:** ვფიქრობ, საქართველო თავდაცვის რეფორმის განხორციელებით კარგ საქმეს აკეთებს. რეფორმა პროცესია. შევეცდებით, დავეხმაროთ საქართველოს, მათ შორის, თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაში. საქართველომ გრძელი გზა გაიარა. დღეს ის ბევრად უფრო თავსებადია ნატოსთან, რასაც ნატოს მისიებში მისი მონაწილეობა ადასტურებს.

**„ამერიკის ხმა": ახლახან საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო ვარშავაში ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას კი არა, ალიანსის წევრობას მოითხოვს. თქვენთვის გასაგებია თავდაცვის მინისტრის განცხადება?**

**მაიკლ კარპენტერი:** ცოტა ხნის წინათ ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შესანიშნავ შეხვედრას დავესწარი, სადაც ამ საკითხზეც ისაუბრეს. როგორც მოგახსენეთ, ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, მათ შორის, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას დავუჭერთ მხარს. ჩვენი შეფასებით, ყოველწლიური სამოქმედო პროგრამისა და თავდაცვის სხვადასხვა პროგრამების სახით, საქართველოს ალიანსში ინტეგრაციისათვის ყველა მექანიზმი ხელთ აქვს. ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრსაც ესმით, რომ ვარშავის სამიტზე საქართველო გაწევრიანების სამოქმედო გეგმას ვერ მიიღებს, მაგრამ როგორც ვთქვი, საქართველოს ყველა მექანიზმი გააჩნია, რათა ინტეგრაციის პროცესი გააგრძელოს.

**„ამერიკის ხმა": ზოგიერთმა ამერიკელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის აგრესიაზე ამერიკის არასათანადო პასუხმა, მათ შორის, სანქციების არდაკისრებამ, რუსეთი უკრაინაში შესაჭრელად და ყირიმის ოკუპაციისათვის წააქეზა. ეთანხმებით?**

**მაიკლ კარპენტერი:** უკანასკნელი ათი წელია, ვუყურებთ, თუ როგორ იზრდება რუსეთის აგრესია. ჩვენ ეს ვნახეთ საქართველოში და, რა თქმა უნდა, ვხედავთ უკრაინაში. ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს, რომ საერთაშორისო ნორმების ამგვარი დარღვევისათვის რუსეთს დიდი ფასის გადახდა უნდა დაეკისროს. ყირიმში ინტერვენციის საპასუხოდ, აშშ-მა ევროპელ და სხვა პარტნიორებთან, მათ შორის, იაპონიასთან ერთად, რუსეთს სანქციები დააკისრა. სანქციები ყირიმში და მოგვიანებით, დონბასის რეგიონში ინტერვენციასთანაა დაკავშირებული. გვჯერა, რომ დიდი ფასის გადახდის შემთხვევაში, რუსეთი სხვაგვარად მოიქცევა.



ხმა თავისი შინაგანი ძალების მობილიზება მოახდინა და მიხეილ სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმი ჩამოიშორა.

უძველესი დროიდან ქართველი ხალხი თავისი წინაპრების ტრადიციების მატარებელი იყო: ღირსება, პატიოსნება, ტოლერანტობა, იუმორი, დიდსულოვნება, სტუმართმოყვარეობა... ძალზე იშვიათია მსოფლიოში ასეთი ხასიათის მქონე ხალხი...

**„მოკლედ, დაბრუნდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში? მოდით, კითხვა ასე დავსვათ: მოისურვებს თუ არა ჩვენი ხალხი, კვლავ გაიმეოროს ის შეცდომა, რაც ერთხელ უკვე ძვირად დაუჯდა? არა მგონია",** — ასეთია ავტორის დასკვნა.

**„ნიუსპრესი"**

## საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა მატულობს

**საქსტატის ცნობით, 2016 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3287 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 8 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 608 მლნ. აშშ დოლარი იყო (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2679 მლნ. აშშ დოლარი (14 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-აპრილში 2071 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 63 პროცენტი შეადგინა.**

## მცხეთის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია გრძელდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა მცხეთის მუნიციპალიტეტში, წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამიის საავტომობილო გზის 6.4 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. სარეაბილიტაციო მონაკვეთი სოფელ ნავდარაანთკართან იწყება და სოფელ ბურიანთან სრულდება.**

**წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამიას საავტომობილო გზა უმოკლესი მანძილით აკავშირებს გზის გასწვრივ მდებარე სოფლებს მუნიციპალურ ცენტრთან და ქალაქ თბილისთან, ასევე ცენტრალურ მაგისტრალთან.**

**პროექტით გათვალისწინებულია, გზის ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება, ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია, საგზაო სამოსის მოწყობა და მოძრაობის უსაფრთხოებისთვის გზის თანამედროვე ელემენტებით აღჭურვა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 2 934 300 ლარია, სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის შემოდგომაზე იგეგმება.**







# ბაგრატიონთა ოჯახი აბსურდის ლაბირინთში

ესპანეთში მცხოვრები ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის შესახებ სენსაციური წერილი გამოაქვეყნა ფიოდორ ბარმინმა, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა რუსი ემიგრანტის, ანასტას ვონსაცკის ორი წერილიდან ამოკრებილ ინფორმაციას: ოჯახის მამა – გიორგი ბაგრატიონი 1957 წელს გარდაიცვალა. გარდაცვლილის მამა ლეიბგვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაური იყო. მან სახლიდან გამოაგდო საკუთარი ვაჟი, რომელმაც მამის სურვილის საწინააღმდეგოდ ცოლად შეირთო ელენე ზლოტნიცკაია, ვლადიკავკაზის რკინიგზის რევიზორის ქალიშვილი. აქედან იწყება სიცრუის მთელი ციკლი. სინამდვილეში ელენეს მამა სიგიზმუნდ ზლოტნიცკი რკინიგზის რევიზორი კი არა, მომრიგებელი მოსამართლე იყო. ცოლად ჰყავდა დიდებული თავადის, 1832 წლის შეთქმულების ცნობილი მონაწილის, ელიზბარ ერისთავის ასული მაიკო, იგივე მარიამ ერისთავი, რომელიც როგორც მამის, ისე დედის მხრიდან, მეფე ერეკლეს შთამომავალი იყო. ვონსაცკი მოგვითხრობს, რომ მამისეული სახლიდან გამოგდებული გიორგი პეტერბურგიდან „კავკასიაში“ ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებული გაემგზავრა, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ დროს კავკასიაში გარდაიცვალა მისი დეიდა თუ მამიდა, შერვაშიძე და მემკვიდრეობა დაუტოვა მას. არავითარი დეიდა შერვაშიძე ბაგრატიონების ამ ოჯახს არ ჰყოლია! **გიორგი ბაგრატიონს და ელენეს შემდგომში ეყოლათ შვილები: ირაკლი, მარიამი და ლეონიდა.** გიორგი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლი იყო. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაკავების შემდეგ მუხრანელები უცხოეთში გაემგზავრნენ. ვონსაცკის თქმით, გიორგი ცოლთან, ირაკლისთან და ლეონიდასთან ერთად ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ანუ მარიამი, ვითომდა, თან არ წაუყვანიათ. მარიამი (1910-1992) 11 წლის იყო. ვონსაცკის აბსურდული მტკიცებით, ის 1921 წელს იმიტომ დარჩა, რომ ბერიაზე გათხოვდა! ოჯახის მდიდრულად ცხოვრებას ავტორის წითლებთან კავშირით ხსნის. მან არ იცის, რომ **გამგზავრებამდე ბაგრატიონებმა გაყიდეს ვეებერთელა ზურმუხტი და საგვარეულო სამკაული – ლალებით და ზურმუხტებით გაწყობილი ყელსაბამი, რომელიც მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მუზეუმისთვის შეიძინა.** ვონსაცკიმ ისიც არ იცის, რომ ოჯახი სტამბოლში დიდხანს არ გაჩერებულა და ბერლინში გაემგზავრა. 11 წლის მარიამს ბერლინში ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი სამუდამოდ დაამახსოვრდა. პირველი იყო შეხვედრა თავისი ოჯახის ძველ მეგობართან, დაღესტნელ მხატვარ ჰალილ-ბეგ მუსაევთან (მუსაიასულთან), რომელიც მიუნხენიდან ბერლინში ჩავიდა ბაგრატიონების ოჯახის სანახავად ბაგრატიონებთან და ფოტოც გადაიღო მარიამთან ერთად (მის მიერ შესრულებული ირაკლი ბაგრატიონის პორტრეტი ქ-ნმა მარიამმა მე მიანდერძა, მე კი 1995 წელს ხელოვნების მუზეუმს გადავეცი საჩუქრად). ბერლინში მარიამი თვითმხილველი გამხდარა, თუ როგორ მორბოდნენ ქუჩაში რუსი ემიგრანტები და ყვიროდნენ: „ნაბოკოვი მოკლეს!“ ცნობილია, რომ მწერალ ვლადიმერ ნაბოკოვის მამა, ბერლინის ფილარმონიის შენობაში სწორედ 1922 წელს მოკლეს. ბაგრატიონებმა ბერლინშივე გაიცნეს მაქსიმ გორკი, რომელიც იმდენად მოიხიბლა ელენე ზლოტნიცკაია-ბაგრატიონის სილამაზით, რომ მთელი ცხოვრება მფარველობდა ამ ოჯახს. 1922 წელს დაეხმარა მათ საქართველოში დაბრუნებაში, ხოლო 1926 წელს ირაკლი ბაგრატიონის საფრანგეთში გამგზავრებაში. ვონსაცკი გორკის საერთოდ არ ახსენებს და ოჯახის მფარველის როლში ბერია გამოჰყავს. ის მოგვითხრობს, რომ 1922 წლის ბოლოს გიორგი ისევე ადვილად ჩამოვიდა საქართველოში, როგორც



მარიამ ბაგრატიონი

ერთი წლის წინათ წავიდა, მისი ოჯახი კი კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. ჩქარა გიორგიმ, ვითომდა, მეორედ დატოვა საქართველო და თავის ოჯახს შეუერთდა საფრანგეთში. ქართველების (დაკონკრეტებული არ არის) მონაყოლის მიხედვით, გიორგი 1927 წელს კიდევ ერთხელ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში, რათა ენახა თავისი უფროსი ქალიშვილი მარია, რომელიც მოარული ხმების თანახმად, ბერიას გაჰყვა ცოლად და საქართველოში ცხოვრობდა თავის საკუთარ სახლში, ბოლშევიკებმა თავაზიანად რომ დაუბრუნეს გიორგი ბაგრატიონს. **სინამდვილეში, გიორგის სახლი კი არ დაუბრუნეს, არამედ 1928 წელს ჩამოართვეს (მჭადიჯვრის მამული კი ოჯახს1919 წლის 10 აგვისტოს ჩამოერთვა).** ვონსაცკი მოგვითხრობს, რომ 1934 წელს გიორგი საფრანგეთში დაბრუნდა. სინამდვილეში კი გიორგი ბაგრატიონი 1930 წელს 2 წლის ვადით დააპატიმრეს. ოჯახი რეალური საფრთხის წინაშე დადგა და უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა. **მფარველად კვლავ მაქსიმ გორკი მოევლინათ.** ის დაჰპირდა მათ, რომ როგორც კი გიორგი ბაგრატიონი ციხიდან გამოვიდოდა, მასაც დაეხმარებოდა გამგზავრებაში. მარიამს გამგზავრება არ უნდოდა, რადგან შეყვარებული ჰყავდა, რომელიც 3 წლით იყო დაპატიმრებული. დედამ იმ პირობით დაიყოლია გამგზავრებაზე, რომ ჯერ საფრანგეთში ესწავლა და 3 წლის შემდეგ, თუ მოისურვებდა, დაბრუნებული იყო. ეს იყო 1931 წელს. მაქსიმ გორკიმ პირობა შეასრულა. ორი წლის შემდეგ გიორგი ბაგრატიონსაც დაეხმარა საფრანგეთში გამგზავრებაში. ა. ვონსაცკი მოგვითხრობს, რომ ლეონიდა ბაგრატიონმა მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ მოდურ სამოდელო სახლში. ლეონიდამ კი არა, მარიამმა დაიწყო მუშაობა. სამოდელო სახლი მას თავისი კოლექციით ამარაგებდა და რეკლამის მიზნით, პრესტიჟულ კურორტებზე უშვებდა დასასვენებლად, რაც მუშაობაში ეთვლებოდა. ლეონიდას შესახებ ავტორი მოგვითხრობს, რომ მან თავის მეგობარ რაშევსკაიასთან მოახერხა ამერიკელი ქვრივი მილიონერის, კირბის, მოხიბლვა და ცოლად გაყოლა. კირბი ლეონიდამ მეგობართან კი არა, თავის საკუთარ ოჯახში გაიცნო. ის ირაკლის მეგობარი იყო და ძალიან უნდოდა მის რომელიმე დაზე დაქორწინება. უფრო მარიამზე ფიქრობდა. მარიამმა კი ერთხელ, როდესაც ლეონიდა და კირბი საუბრობდნენ, ხატი გამოიტანა და დალოცა ისინი. ასე შედგა მათი ნიშნობა. კირბის პირველ ცოლთან ზრდასრული ქალიშვილი ჰყავდა, გლორია. ლეონიდასთანაც ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ბებიის სახელი, ელენე დაარქვეს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ კირბის გერმანიაში მოუსწრო, ის დააპატიმრეს და ბანაკში ჩასვეს. ა. ვონსაცკი ირწმუნება, რომ 1950 წელს ერთი „რუსი“

## ვინ მფარველობდა ბაგრატიონთა ოჯახს – ლავრენტი ბერია თუ მაქსიმ გორკი?

კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით მისულა ამერიკის საელჩოში მადრიდში. ამერიკის კონსულს მასთან უჭორავია, ვითომდა კირბი ნაცისტებმა ირაკლის დასმენით დააპატიმრეს. კირბი, ვითომდა, ამერიკის მთავრობის მოთხოვნით, იქნა გათავისუფლებული ბანაკიდან, რის შემდეგ, მალევე გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ წინამდებარე პუბლიკაციის ავტორი ფიოდორ ბარმინი იძულებულია დაურთოს შენიშვნა: „ბ-ნ ვონსაცკის ეშლება, კირბი 1945 წელს გარდაიცვალა გერმანულ ბანაკში გამოფიტვისაგან“. აქედან ცხადია, რომ ა. ვონსაცკის მონათხრობი ამერიკის მთავრობასთან და კონსულთან დაკავშირებით – მისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. გარდა ამისა, მე პირადად ვიცნობდი კირბის ქალიშვილს – გლორიას. ესპანეთში ყოფნისას მან მიამბო, რომ ყველაფერი გაყიდა ამერიკაში და ესპანეთში დასახლდა, რათა თავის ყოფილ დედინაცვალთან, ლეონიდასთან ახლოს ყოფილიყო, ვინაიდან მის ოჯახს საკუთარ ოჯახად თვლიდა და დიდ მზრუნველობას გრძნობდა მისი მხრიდან (რაც მე ჩემს თავზეც მაქვს გამოცდილი). ცხადია, მამამისი ამ ოჯახის დაღუპული რომ ყოფილიყო, ქ-ნი გლორია მათ შესახებ ასეთი სიყვარულით არ ისაუბრებდა.

ა. ვონსაცკი ირწმუნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ერთ-ერთმა რუსმა იცის, თუ რას საქმიანობდა ერთ დროს ირაკლი ბაგრატიონი კაიროში. არ ვიცით, ვინ არის ეს რუსი, მე კი ამ პერიოდის შესახებ ალბანეთის ყოფილი დედოფალი ჯერალდინი მესაუბრა, რომლისგანაც ინტერვიუ ჩავიწერე და გამოვაქვეყნე. ექს-დედოფალი აღტაცებით ჰყვებოდა ირაკლი ბაგრატიონზე, რომელიც მეუღლემ კაიროში ყოფნისას გააცნო.

ა. ვონსაცკი ლეონიდას უბრუნდება და ჰყვება, რომ ესპანეთში დასახლდა თავადი ვლადიმირ კირილის ძე რომანოვი. იგულისხმება რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაური, დიდი მთავარი, რომლის მამაც ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილი იყო. ვონსაცკი წუხს, ეს გამოუცდელი ახალგაზრდა ლეონიდა ბაგრატიონმა კარგად დაგებულ მახეში გააბაო. 1948 წელს ვლადიმერმა და ლეონიდამ ლოზანაში დაიწერეს ჯვარი. ლეონიდა, თითქოსდა, ქმარზე უფროსი იყო 8 წლით. ფიოდორ ბარმინი აქაც იძულებულია შესწორება შეიტანოს: „სამი წლით“. ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ვონსაცკი ან ჩახედული არ არის რომანოვების ოჯახის ცხოვრებაში, ან განზრახ ამახინჯებს ფაქტებს. ავტორი მოგვითხრობს: 1951 წელს თავადის და, მარია კირილის ასული, ლეინინგენის ჰერცოგინია, სრულიად ჯანმრთელი ჩავიდა ძმის სანახავად, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მინიშნება კეთდება იმაზე, რომ მის სიკვდილში ლეონიდას ხელი ერია. რატომ უნდა ჩაედინა მთავრინას ეს მკვლელობა? ჰერცოგინიას ხომ თავისი ოჯახის წევრები ჰყავდა და მისი მემკვიდრეობიდან ლეონიდას არაფერი ერგებოდა. ისმის მეორე კითხვაც: ვონსაცკის გარდა ვერავინ ვერაფერს მიხვდა? მე პირადად ვიცნობდი ჰერცოგინიას დისშვილს, გერმანიის საიმპერატორო სახლის მეთაურის ლუი ფერდინანდ პრუსიელის ქალიშვილს კირა ჰოჰენცოლერნს. 1969 წელს ის თავის საქმროსთან ერთად ეწვია თბილისში მარიამ ბაგრატიონს. ერთად ვიყავით ხელოვნების მუზეუმში, სადაც ისინი განსაკუთრებით ხახულის ხატით მოიხიბლნენ. კირა ჰოჰენცოლერნი ელენე ბაგრატიონის თხოვნით, მჭადიჯვარში გაემგზავრა, რათა ფირზე აღებეჭდა ბაგრატიონების ყოფილი მამული. კირამ ისიც მითხრა, რომ ირაკლი ბაგრატიონი მისი საუკეთესო მეგობარი იყო.

მარიამ ბაგრატიონის შესახებ ვონსაცკი წერს, თითქოს ის საბჭოთა კავშირში დარჩა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მარიამი 1931 წელს გაემგზავრა საფრანგეთში. ის ნიცასა და პარიზში ეუფლებოდა სამხატვრო ოსტატობას. 3 წლის შემდეგ, თავისი შეყვარებულის ციხიდან გამოსვლის დროისთვის მან დაბრუნება გადაწყვიტა. მისმა მეგობარმა, მხატვარმა ვანო ენუქიძემ წერილი გამოატანა თავის ბიძასთან, აბელ ენუქიძესთან, რომელსაც სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობა ეკავა. ვანო ბიძას სწერდა, ვითომდა მარიამი მისი საცოლე იყო და სთხოვდა ბინით მის უზრუნველყოფას. აბელმა ეს დაიჯერა და მარიამს მოსკოვში გამოუყო ბინა. აბელი იმ დროს თეატრების ხელმძღვანელობის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე იყო, ამიტომ იმ სახლში ძირითადად მასთან დაახლოებული ბალერინები ცხოვრობდნენ. ერთხელ, როდესაც მარიამი სახლში მიდიოდა, დაინახა, რომ ბალერინები შეშინებულები გამორბოდნენ. თურმე, ენუქიძე დაუპატიმრებიათ. შემდეგ ის დახვრიტეს. მარიამმაც თავს უშველა და თბილისში ჩამოვიდა. ბაგრატიონების ყოფილ სახლში, გადატიხრული ოთახის ერთ ნაწილში ცხოვრობდა მარიამის უახლოესი ნათესავი ნინო ჯორჯაძე, რომელმაც ის შეიკედლა. **1948 წელს მარიამ ბაგრატიონი დააპატიმრეს და 8 წლით მაგადანში გადაასახლეს.** მიზეზი ის გახდა, რომ მისი და, ლეონიდა, ცოლად გაჰყვა დიდ მთავარ ვლადიმირ რომანოვს. მარიამის დაპატიმრების ფაქტიც გამორჩა ყოვლისმცოდნე ვონსაცკის. **მარიამის მეუღლეს, ცნობილ თეატრალურ მხატვარ სოლიკო ვირსალაძეს მიჰქონდა ხოლმე გარკვეული თანხა ნინო ჯორჯაძესთან, რომელიც ამ ფულს მაგოდანში გზავნიდა. შემორჩენილია მისი ჩანაწერების ნაწილი.**

ა. ვონსაცკის პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ 1953 წლის 17 ივნისს ბერიას ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იტალიურ გაზეთში „კორიერა დე ლა სერა“ გამოქვეყნებულა ვრცელი სტატია პეტრო კვარონის ავტორობით, რომელიც იტალიის კონსული იყო თბილისში 1926 წელს და პირადად იცნობდა ბერიას. ის მარიამ ბაგრატიონს ბერიას ცოლობას აბრალებს. წერილის ბოლოს იყო ასეთი ფრაზა: „...ბერიას ცოლი ქართველია, რუსეთის ტახტის ამჟამინდელი პრეტენდენტის ცოლისდა. საინტერესოა, იმის გამორკვევა, ფიგურირებს თუ არა ეს ფაქტი ბერიასადმი წაყენებულ ბრალდებებს შორის.“ ამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, პეტრო კვარონიმ, რომელსაც იმ დროს საფრანგეთში იტალიის ელჩის თანამდებობა ეკავა, მიიღო ირაკლი ბაგრატიონის წერილი, სადაც განცხადებული იყო, რომ მის დას არასოდეს დაუწერია ჯვარი ბერიაზე. ა. ვონსაცკი ფიქრობს, რომ შესაძლებელია, ბერიასნაირ კომუნისტს არ დაეწერა ჯვარი ეკლესიაში, რაც საბჭოთა კავშირში სავალდებულო არ იყო. მისთვის „ფაქტი ფაქტად რჩება“, რადგან ენდობა სინიორ კვარონის, რომელიც ამტკიცებდა: მარია ბაგრატიონი ირაკლისა და ლეონიდას და იყო ლავრენტი ბერიას ცოლი (ჯვარდაწერილი თუ ჯვარდაუწერელი, ეს სულერთია).



მარიამ ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი

მარიამ ბაგრატიონის მამამ გიორგი ბაგრატიონმაც მიმართა შეკითხვით კვარონის, რომელმაც უპასუხა, რომ მისი ქალიშვილის კავშირი ბერიასთან მისთვის ცნობილი იყო ყველაზე **საიმედო წყაროებიდან.** მივაქციოთ ყურადღება, რომ თავად მას ისინი ერთად არ უნახავს. ვიღაცამ მიაწოდა ეს ცნობა, როგორც ჩანს, გარკვეული მიზნით. იმავე წელს ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ ბიულეტენში №179 გამოქვეყნდა ვრცელი წერილი ბერიაზე, სადაც მითითებული იყო, რომ მისი ცოლი რუსეთის ტახტის პრეტენდენტის ღვიძლი დაა, ანუ მარიამი ვლადიმირ რომანოვის ღვიძლი და ყოფილა! პუბლიკაციაში მოყვანილ „რუსეთის სპეცნაზის“ კომენტარებში აღნიშნულია, რომ „კვარონი მხოლოდ იმას აღწერს, რისი მოწმეც იყო თბილისში იტალიის გენერალურ კონსულად ყოფნის დროს. მან თავის მაშინდელ პირად დაკვირვებებზე დაყრდნობით, გააკეთა მცდარი დასკვნა მარია ბაგრატიონ-მუხრანსკაიას შესახებ, რომელთანაც, როგორც ჩანს 1920-იან წლებში ბერია ცხოვრობდა და რომელიც შემდეგშიც მის ცოლად რჩებოდა.“ ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ კვარონი პირად დაკვირვებებზე დაყრდნობით კი არ აკეთებს დასკვნას, არამედ მას ეს ცრუ ინფორმაცია დეზინფორმატორებმა მიაწოდეს. გაკვირვებას იწვევს სპეცნაზის არაკომპეტენტურობა. ისინი წერენ: „ჩვენ გვაინტერესებს მუხრანსკების ბერიასთან

კავშირის თავად ფაქტი. მხოლოდ ამ კავშირის არსებობით შეიძლება აიხსნას მუხრანსკების თავისუფალი მიმოსვლა საბჭოთა საქართველოდან დასავლეთით და პირიქით. და არა ერთხელ.“ როგორც უკვე ვთქვით, ბაგრატიონების ოჯახი პირველად 1921 წელს გაემგზავრა უცხოეთში. გამოდის, რომ 1921 წელს ბერიას 11 წლის მარიამი შეურთავს ცოლად! მთელი ეს ჭორები 1953 წელს აგორდა, მაშინ როდესაც მარიამ ბაგრატიონი გადასახლებაში იტანჯებოდა და ამის შესახებ არაფერი თქმულა! ამაზე მეტი ცინიზმი წარმოუდგენელია! **მუხრანსკების შედარებით თავისუფალი მიმოსვლის ფაქტი მაქსიმ გორკისთან სიახლოვით აიხსნება. ბაგრატიონები მთელი სიცოცხლის მანძილზე ემადლიერებოდნენ მას. მე პირადად მინახავს რომანოვების ვილაში, სენბრიაკში, მაქსიმ გორკის დიდი პორტრეტი, რომელიც მის საიმპერატორო უმაღლესობას, ლეონიდას ჰქონდა გამოფენილი.** მარიამ ბაგრატიონს გორკის ოჯახთან, პეშკოვებთან, დიდი მეგობრობა აკავშირებდა. მწერლის რძლის გარდაცვალების შემდეგ, ეს მეგობრობა მისი ძმის ოჯახთან, ვეძენსკებთან გაგრძელდა, რისი თვითმხილველიც ვარ და ჩავსულვარ კიდევაც მათ აგარაკზე მოსკოვის შემოგარენში. ხელთ მაქვს მარიამ ბაგრატიონის განცხადების ასლი, სადაც ნათქვამია, რომ ის 1934 წლის ივნისში დაბრუნდა პარიზიდან, სადაც წასული იყო „ალექსი მაქსიმის ძე გორკის დახმარებით, უმაღლესი სამხატვრო განათლების მისაღებად“. მარიამი წერს, მან გაუზიარა გორკის უცხოეთში ყოფნის შთაბეჭდილებები და მოუყვა ჩამოსვლის მიზეზების შესახებ. მწერალმა მონათხრობის ქაღალდზე გადატანა ურჩია. მარიამმა გაითვალისწინა ეს რჩევა. როდესაც ხელნაწერი მზად იყო, ყირიმში გაუგზავნა მწერალს. მწერალმა ხელნაწერს თავისი შენიშვნები დაურთო და დაუბრუნა. მალე გორკი ავად გახდა. 1948 წლის 14 დეკემბერს მარიამი დააპატიმრეს. სხვა ქაღალდებთან ერთად წაიღეს ეს ხელნაწერიც და გორკის ნაჩუქარი ორი ფოტოსურათი. მარიამს კი უთხრეს, რომ ამ ყველაფერს გორკის მუზეუმს გადასცემდნენ. აღსანიშნავია, რომ მარიამმა გადასახლებაში დაწერა პოემა, რომელშიც აღწერს გადასახლებაში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. პოემას ქ-ნი მარიამი არავის აჩვენებდა. ბოლოს, თავის არქივთან ერთად მე გადმომცა. უკვე მარიამის გარდაცვალების შემდეგ, მისი დაბადებიდან 100 წლისთავზე, ეს პოემა მცირე ტირაჟით გამოვეცი. ასევე მიანდერძა თავისი ნახატი, რომელზეც თავად არის გამოსახული ტაიგაში, ზურგზე პატიმრის ნომრით.

ამრიგად, ანასტას ვონსაცკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც ჩემთვის ცნობილია, სიყალბეა. არ არის გამორიცხული, რომ დანარჩენი ე. წ. „ფაქტებიც“ იმავე პრინციპით იყოს შეთითხნილი. მისი წერილებიდან ნათელი გახდა, თუ ვისგან მოდიოდა ბერიასთან დაკავშირებული ცილისწამება, რაც სხვებმაც აიტაცეს. 1990-იანი წლების დასაწყისში გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“ დაბეჭდა ედუარდ გრაფოვის ფელეტონი, რომელშიც იგი, „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ვ.ნ. ემელიანოვის წერილზე დაყრდნობით წერდა, თითქოსდა მარიამ ბაგრატიონი „თავის დროზე ლ. პ. ბერიას ცოლი იყო“. ქალბატონმა მარიამმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა „ნეზავისიმაია გაზეტას“, სადაც მთელი პასუხისმგებლობით აცხადებდა, რომ ბერია არასოდეს უნახავს, მაგრამ გაზეთმა არაფერი უპასუხა, რადგან სიმართლის დადგენა ავტორების ინტერესებში არ შედიოდა. დაბოლოს დავძენთ, რომ ფ. ბარმინის პუბლიკაცია შესულია ბ-ნ კახა ქორიძის და ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ კრებულში „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“. (2016)

**მანანა ხომერიკი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ ნამდვილი წევრი**

# „მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ვკვდები“...

## პოლიტიკური ემიგრანტის სიმონ გოგიბერიძის ცხოვრება და ბედი

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ოჯახი, რომელსაც გასულ საუკუნეში რაიმე სახის რეპრესია არ განეცადოს. ჩემს ოჯახს, მრავალი ქართული ოჯახის მსგავსად, სევდიანი წარსული აქვს. იმ დროიდან, როდესაც იწყება ჩემი ცნობიერი ცხოვრება, მახსოვს, ძალიან საყვარელი ადამიანების – ბებიის – **ნინო გოგიბერიძის** და ბებიის დის – თამარ გოგიბერიძე-ჟღენტის, მთავარი დარდი და საზრუნავი – მათი ძმა, სიმონ გოგიბერიძე, რომელიც 25-წლიან სასჯელს იხდიდა ქ.ვლადიმირის ციხეში. ბევრი რამ არ მესმოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ სადღაც შორს არსებობდა ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი წევრი, რომელიც წერილებს გზავნიდა და ეს წერილები ყოველთვის ჩემი მოკითხვით და კეთილი სურვილებით იწყებოდა. დაუსწრებლად მიყვარდა ეს ადამიანი და მიკვირდა, ასეთი კარგი პიროვნება რატომ იჯდა ციხეში და ცოტათი მრცხვენოდა ამის. თუმცა არასდროს დამისვამს ეს შეკითხვა დედისთვის და ბებიებისთვის. ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ


სიმონ გოგიბერიძე ახალგაზრდობაში

ამ კითხვით მათ გულს ვატკენდი. მიუხედავად უამრავი ტანჯვისა, რომელიც ჩემმა ოჯახმა გამოიარა, არასოდეს არავის, ერთი საყვედურო სიტყვა არ დასცდენია ამ ადამიანის მიმართ. „სიმონიკას ვფიცავ“ – ეს იყო ყველაზე წმინდა და კეთილშობილური ფიცი ჩემს ოჯახში.

**სიმონ გოგიბერიძე** დაიბადა 1900 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში. **მამა – ლევან (ლეონტი) გოგიბერიძე** სასულიერო პირი იყო, რომელიც ძალიან ახალგაზრდა, 28 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიმონი და მისი ორი უმცროსი და გაზარდა დედამ, **სონია მგალობლიშვილმა.** ს. გოგიბერიძემ დაწყებითი განათლება სოფელ ხიდისთავში მიიღო, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო აკადემიაში. სასწავლებელში სწავლის პერიოდში იგი ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. როგორც თვითონ წერს **„ჩემთვის პირველი და უმთავრესი იყო ეროვნული საკითხი; ჩვენი ხალხის გაერთიანება, ქართველი ერის აღორძინება, დამოუკიდებლობის მოპოვება და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა“**. 1917 წელს იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა და ამავე წელს შევიდა მოხალისე მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან შემდგარ „თბილისის მსროლელთა ათასეულში“. 1920 წელს მან მიიღო ოფიცრის წოდება. 1921 წლის თებერვლის ბოლომდე იგი მსახურობდა ქართულ სამხედრო ნაწილებში, იბრძოდა წითელი, მე-9 არმიის წინააღმდეგ, გაგრის ფრონტზე. 1922 წლიდან 1924 წლამდე იგი იმყოფებოდა არალეგალურ მდგომარეობაში, იყო ჩოხატაურის სამხედრო ორგანიზაციების შტაბის უფროსი და 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების დროს გუნდის უფროსი.

თავის წიგნში „**ბრძოლა მამულისთვის**“, რომელიც 1938 წელს დაიბეჭდა საფრანგეთში, იგი წერს:

*„ქართველი ერის ისტორია ეს მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისთვის, თავისუფლებისთვის. ჩვენს წარსულში ხშირად გვქონია შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზედ იყო მისული და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი თურქობდა, ხან მონღოლი იყო და ხან რუსი და ყოველთვის ამას უდიდეს გონიერ ხერხად თვლიდა, თავი ერის მსხნელად მოჰქონდათ. ქართველი ერი ამ პოლიტიკას რომ გაჰყოლოდა ჩვენ ყველაფერი ვიქნებოდით, გარდა ქართველებისა. საბედნიეროდ, იყო კიდევ ერთი ქართველობა „გიჟი“, „უანგარიშო“, „წინდაუხედავი“, მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისგან მუდამ ძლეული, მაგრამ მაინც გაუტეხელი. აი, ამ ხალხს უნდა უმადლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლახებას მოვესწარით. 1921-1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძღოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს, ასეთმა ხალხმა ჩამორეცხა საქართველოს გუშინდელი სირცხვილი და ჩაჰყარა სამუდამო საფუძველი საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრეთით აღმდგარ ეროვნულ საქართველოსი“.*

აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1924 წლის შემოდგომაზე, ს. გოგიბერიძემ, რამდენიმე ამხანაგთან ერთად დატოვა სამშობლო და იმავე წლის დეკემბერში ჩავიდა ქ.მარსელში. საფრანგეთში იგი იმყოფებოდა 1938 წლამდე. 1938 წელს მან დატოვა საფრანგეთი და ჩავიდა თურქეთში, ხოლო 1940 წლის 20 აპრილს არალეგალურად გადმოლახა საქართველოს საზღვარი. მას თან ჰქონდა პარიზში გამომავალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველთვიური ჟურნალი „ბრძოლის ხმა“, სადაც დაბეჭდილი იყო საქართველოს ყოფილი მთავრობის დეკლარაცია 1940 წლის 4 იანვრის თარიღით ქართულ და ფრანგულ ენაზე. ამ დეკლარაციაში ყოფილი მთავრობა და პარტიები ემიჯნებოდნენ და უარყოფდნენ „ღერძის“ კოალიციას, ჰგმობდნენ საერთოდ ფაშიზმს და ქართველ ერს უდიდესი სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ. საქართველოში მან დაჰყო 31 დღე და ისევ თურქეთში დაბრუნდა. ამ პერიოდში მან საიდუმლოდ ინახულა დედა და 10 დღე დაჰყო მშობლიურ სახლში. 1960 წლის 2 მაისს ვლადიმირის ციხიდან გამოგზავნილ წერილში იგი წერს: „დღეს 20 წელი შესრულდა, როდესაც 16 წლის განშორების შემდეგ პირველად ვნახე ჩემი ძვირფასი, ყველაზე საყვარელი დედა ჩვენი ოჯახის კერიასთან, რომელსაც ასი წლის წინ ჩაუყარა საფუძველი ჩემმა მამა-პაპამ. ჩემი თვალები ხედავდნენ, ჩემმა გონებამ და სულმა კი თითქოს პირველად გაიაზრა ჩემი სამშობლო და ჩემი მშობლიური ხალხი სრულყოფილად იმ პერიოდიდან, როდესაც ჩვენმა წინაპარმა პირველი ქართული სიტყვა წარმოთქვა და ამით ურყევი საფუძველი ჩაუყარა ჩემი ერის ისტორიულ არსებობას, ჩაუნერგა უსაზღვრო სამშობლოს სიყვარული, მისცა მოუდრეკელი ნებისყოფა, ძალა და ენერგია და ყველა ის სულიერი და ფიზიკური თვისება, რომლის წყალობითაც ჩვენმა ხალხმა არა მხოლოდ არსებობა შეინარჩუნა, არამედ მსოფლიო კულტურის განვითარებაში მიიღო მონაწილეობა და სიამაყით შეუძლია დაამტკიცოს თავისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე.„

* * *

1940 წელს სონია გოგიბერიძე დააპატიმრეს იმ ბრალდებით, რომ არ დაასმინა შვილი და არ აცნობა შესაბამის სამსახურებს მისი საქართველოში ყოფნის შესახებ. სონია გოგიბერიძე საქართველოში 9-წლიანი პატიმრობის შემდეგ გასახლებული იქნა ყაზახეთში, სადაც გარდაიცვალა 1955 წელს. მასთან ამ დროს იმყოფებოდა მისი ქალიშვილი თამარ გოგიბერიძე-ჟღენტი, რომელმაც დედის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენა. იგი დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.


სიმონ გოგიბერიძის დედა სონია მგალობლიშვილი

1942 წელს ს.გოგიბერიძე ხელმეორედ შემოვიდა საქართველოში და უკან დაბრუნების დროს დაპატიმრებული იქნა. მას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს ვადა მან სრულად მოიხადა ვლადიმირის ციხეში და 1967 წელს დაბრუნდა საქართველოში.

1967 წელს 10 წლის ასაკში პირველად ვნახე ბაბუა. დღემდე მახსოვს მისი ჩამოსვლა, როგორ მოვაბიჯებდი ამ უცხო და ამავე დროს საოცრად ახლობელი და საყვარელი ადამიანის გვერდით, ხელი მაგრად მქონდა ჩაკიდებული და ქვემოდან შევცქეროდი. უკან დედა და ბებიები მოდიოდნენ. სამივე თვალცრემლიანი. ბოლოს კი ჩემი მეორე ბაბუა – ბარგით ხელში. არავინ არ გვაქცევდა ყურადღებას, არავინ იცოდა, რომ თვრამეტწლიანი ემიგრაციისა და ოცდახუთი წლის პატიმრობის შემდეგ ჩვენი ოჯახის ნანატრი წევრი დაბრუნდა საქართველოში.

სამი წელი ვიცხოვრეთ ერთად. ამ სამმა წელიწადმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩემში. ასაკშიც კი ის საოცრად ლამაზი და მოხდენილი იყო, ძალიან სასიამოვნო და განათლებული მოსაუბრე. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების 43 წელი უცხოეთში გაატარა, სუფთა ქართულით მეტყველებდა და წერდა. მაგრამ ყველაზე მომხიბლავი იყო, როდესაც საქართველოზე და ქართველებზე საუბრობდა. საქართველო იყო მისი ყველაზე დიდი სიყვარული და სატკივარი, დარდი და სიხარული.

*„ისევე როგორც ჩემი შეგნებული ცხოვრების დასაწყისს, დღესაც, როცა ჩემი სიცოცხლე უკვე დასასრულს უახლოვდება, ჩემი ერთადერთი საზრუნავი, ერთადერთი „სული ბოროტი„ არის ქართველი ერის*


სიმონ გოგიბერიძის ფოტო ვლადიმირის ციხიდან გამოგზავნილი

*ყოფნა-არყოფნის საკითხი. ისინი, ვისაც დღეს ჩვენს ქვეყანაში სრული ძალაუფლება უჭირავთ ხელში და ქართველი ერის ყოველგვარ საქმიანობას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევენ, სწორედ ისინი ატარებენ დღეს თავიანთი ბეჭებით უდიდეს პასუხისმგებლობას ჩვენი ერის წინაშე; მათზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ქართველი ერი შეინარჩუნოს მისი ეროვნული სახე და მისი საკუთარი წმინდა სისხლით გაჟღენთილი მიწა-წყალი, თუ ჩვენი დღევანდელი თაობა იქნება ჩვენი ეროვნული ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი და ქართველი ერისგან დარჩება მხოლოდ ხსოვნა უცხოელთა მუზეუმებსა და ერმიტაჟებში„.*

ამ სამი წლის მანძილზე იგი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, შეასრულა ქართულ-ფრანგული ლექსიკონის ორტომეულის სრული კორექცია, ასწავლიდა ფრანგულ ენას, რომელსაც სრულყოფილად ფლობდა. იგი თვლიდა, რომ **„ქართველ ერს მისი ეროვნული, ხორციელი და სულიერი კეთილშობილი თვისებების ყოველმხრივი განვითარებისთვის ორი საჭურველი აქვს ხელში: სწავლა და შრომა“.**

სიმონ გოგიბერიძე გარდაიცვალა 70 წლის ასაკში. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: **„მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ვკვდები“.**

დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, თავისი საყვარელი დედის და დების გვერდით.

**რუსუდან რუხაძე.**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მარინა კალიურანდი:

# რუსეთმა არა მარტო აშშ, არამედ მთელი დასავლური სამყარო გააცურა

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მარინა კალიურანდის განცხადებით, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, კონფლიქტების კერებში რუსეთსა და აშშ-ს შორის დაპირისპირების შედეგად პუტინმა მეტი ქულის მოგროვება შეძლო, ვიდრე ბარაკ ობამამ.



**„შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მაგალითად, ყირიმის ოკუპაციით პუტინმა გააცურა ევროკავშირი, ვინაიდან ეს მის უშუალო სამეზობლოში მოხდა. საქართველოს შემდეგ ჩვენ ვიცოდით, რა მოლოდინები შეიძლებოდა გვქონოდა, თუმცა, რეაგირება არ მოვახდინეთ“,** — განაცხადა კალიურანდმა Likerraadio-ს ეთერში საუბრისას.

ამასთან, მისივე შეფასებით, ეს იყო ბაწრის გადაქაჩვა არა მარტო პრეზიდენტებს პუტინსა და ობამას შორის, არამედ კონფლიქტი მთელს დასავლურ სამყაროსთან და პუტინის ადმინისტრაციის მიზანს, ნატოსა და ევროკავშირის ერთობის შესუსტება წარმოადგენს.

**„არ მგონია, რომ პუტინი, სირიის კონფლიქტის მეშვეობით, ნატოს დაშლას გეგმავს, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ისურვებდა დანაწევრებული ალიანსის ნახვას — იმის მსგავსად, თუ როგორ ოსტატურადაც უპირისპირებს ერთმანეთს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. თუმცა, ნატოში ამჟამად ერთობა ბევრად დიდი დოზითაა, ვიდრე ევროკავშირში. ხანდახან ძალიან საინტერესოა, როცა თვალს ვადევნებ ჩემს კოლეგებს, რომლებიც ნატოში ერთს ამბობენ, ევროკავშირში კი — ცოტა სხვა რამეს. მე თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, რადგან ყველგან ერთსა და იმავეს ვამბობ“,** — აღნიშნა კალიურანდმა.

ამასთან, მან მოსკოვი იმაში დაადანაშაულა, რომ რუსეთის ჩარევის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნების საზღვრების შტურმით ამღები დევნილების რაოდენობა გაიზარდა.

**„მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომ მიგრაციამ დაყო ევროპა“,** — დასძინა მან.

პარალელურად, კალიურანდის თქმით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში იზრდება პოპულარობა ულტრამემარჯვენე ძალებისა, რომლებსაც პირდაპირ თუ იარიბად კრემლი უდგათ გვერდში.

**„რუსეთმა მიაღწია იმას, რომ ევროკავშირის ქვეყნები ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა მე ვხედავ პოზიტივსაც, რადგან ჩამოყალიბდა აღქმა იმისა, რომ, თუ ერთობლივად არ ვიმოქმედებთ, ხელისუფლებაში მემარჯვენე ექსტრემისტული და პოპულისტული პარტიები მოვლენ“.**

ესტონეთის პირველი დიპლომატის აზრით, „ევროკავშირმა საემიგრაციო კრიზისზე უნდა მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება, რადგან მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები საკმარისად ეფექტიანად არ სრულდება“. ეს, მისი თქმით, ეხება როგორც გარე საზღვრების დაცვასა და ხმელთაშუა ზღვაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, ასევე ეკონომიკური მიგრანტების დეპორტაციას. **„ევროპა არ დაკარგავს საკუთარ ჰუმანიზმს, რადგან ჩვენ ვიღებთ მათ, ვინც ომს გაურბის. ჩვენ არც იმ ხალხისგან ჩავიკეტებით, რომლებსაც სასწავლებლად, ან სამუშაოდ ჩამოსვლა სურთ. უბრალოდ, მათთვის გათვალისწინებულია სხვა შესაძლებლობები და ევროკავშირში ჩამოსვლის სრულიად განსხვავებული პროცედურები“,** — განაცხადა ესტონეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

**ცნობისთვის: მარინა კალიურანდი ესტონეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად ითვლება (არჩევნები მიმდინარე წლის აგვისტოშია დაგეგმილი).**

# დედამიწის ზურგზე

### აშშ-ში იკვლევენ ტრამპის ყოფილი მსახურთუფროსის მხრიდან ობამას ლანძღვის ფაქტებს



**მაგალითად, ერთ-ერთ პოსტზე 2015 წლის სექტემბერში ენტონი სენაკალმა განაცხადა, რომ სამხედროებმა უნდა ჩამოახრჩონ ობამა ღალატისათვის და სხვა „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებისთვის“. მეორე ჩანაწერში ყოფილი მსახურთუფროსი, რომელიც მუშაობდა ტრამპთან 17 წლის განმავლობაში, პრეზიდენტს უწოდებს მუსლიმანს, რითაც გამოიყენა შეურაცხმყოფელი ტერმინი.**

### აშშ-ში დაკავებულ შორეული აღმოსავლეთის გემთმშენებლობისა და გემთრემონტის ცენტრის ყოფილ უფროსს, რომელსაც ბრალი ედება ოთხი მილიარდი რუბლის გატაცებაში, გაასახლებენ ქვეყნიდან

**ამერიკელი ჩინოვნიკების სიტყვებით, იგორ ბორბოტმა დაარღვია ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციული კანონმდებლობა და იქნება პატიმრობაში იმ მომენტამდე, სანამ არ მოახდენენ მის ექსტრადირებას. ადრე რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ სთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს, გაასახლოს ინტერპოლით ძებნილი ბორბოტი სამშობლოში.**

### კანადის პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც „მაგნიტსკის კანონის“ ანალოგიურია

**ინიციატივის ავტორმა კონსერვატორმა ჯეიმს ბეზანმა დააყენა წინადადება გაამკაცრონ იმ პირთა დაცვა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან „საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევებისათვის“. მან განაცხადა, რომ მისი კანონპროექტი მიზნად ისახავს, მისცეს გარანტია, რომ ადამიანის უფლებათა ყველა დარღვევას ექნება პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებებისთვის.**

### სირიაში ისრაელის ავიადარტყმის დროს მოკლეს „ჰისბულახის“ ერთ-ერთი მეთაური - მუსტაფა ბადრედინი

**„ჰისბულახი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ ბადრედინი მოკლეს ავიაშემოფრენის დროს, რომელიც მოხდა სირია-ლიბანის საზღვრის მახლობლად სამშაბათს ღამით. „ის მონაწილეობას ღებულობდა ისლამური წინააღმდეგობის ოპერაციების უმრავლესობაში 1982 წლიდან“, — ნათქვამია განცხადებაში.**

### SWIFT-ის ბანქთაშორისი გადარიცხვების სისტემამ აღიარა კიბერშეტევის მეორე შემთხვევა

**SWIFT-ის წარმომადგენელმა ნატაშა დე ტერანმა განაცხადა, რომ მეორე შეტევის ობიექტი გახდა კომერციული ბანკი, თუმცა მისი სახელწოდება არ დაუსახელებია. მან ასევე არ განაცხადა, თუ შეტევის მცდელობა წარმატებული იყო. სისტემა ამას განიხილავს, როგორც უფრო ფართო კომპანიას „ბანკების წინააღმდეგ“.**

### პოლონეთმა ბრალი დასდო რუსეთს ქვეყნის საჰაერო სივრცეში უპილოტო თვითმფრინავების შეჭრაში

**თავდაცვის მინისტრმა ანტონი მაცერევიჩმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციის უპილოტო მფრინავმა აპარატებმა გადაკვეთეს სასაზღვრო ზონა კალინინგრადის ოლქიდან**



**ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი დაიკავებდა თავის პოსტს 2015 წელს. უწყების მეთაურის სიტყვებით, მოგვიანებით პოლონეთმა „საკმარისად“ განამტკიცა თავისი საზღვრები და ამგვარი შემთხვევები ახლა ერთეულებია.**

### მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს ობამას ადმინისტრაციის რეკომენდაციის შესახებ - მოაწყონ საპირფარეშოები ტრანსგენდერებისათვის ამერიკის სკოლებში

**ინსტრუქციის გაჩენა ანონსირებული იყო ცხარე დავების ფონზე ტრანსგენდერების უფლებათა შესახებ სკოლებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, დაპირისპირებაც თეთრ სახლსა და ჩრდილოეთი კაროლინის ხელისუფლებას შორის. დოკუმენტს არა აქვს კანონის ძალა, მაგრამ ობამას ადმინისტრაციაში ამბობეს, რომ რეკომენდაციის შესრულებაზე დამოკიდებული იქნება სახელმწიფო დაფინანსება.**




## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №1-1/257 ბრძანების შესაბამისად:**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს JICA-ს დახმარებით, ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტს. პრიორიტეტულად დადგენილია აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის სამი ახალი მონაკვეთი: (1) ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის 22 კმ-იანი მონაკვეთის განახლება/გაუმჯობესება; (2) ქუთაისის შემოვლითი გზის 17 კმ-იანი მონაკვეთი და (3) ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა სამტრედიის 20 კმ-იანი მონაკვეთი.

ზემოხსენებული პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან. საკუთრების გამოსყიდვის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 ავტომაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის მე-4 კმ-ზე, №1 სატრანსპორტო კვანძის თერჯოლისკენ მიმავალი წრიული მოძრაობიდან სოფ. ღვანკითისკენ, პროექტით გათვალისწინებული ადგილობრივი დანიშნულების საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული ს/კ №33.09.42.138 უძრავი ქონების მესაკუთრე **მინდია რობაქიძესთან (პ/ნ 21001000438)**.

მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ.

ამავე შეტყობინებით მესაკუთრე ინფორმირებულ იქნა, რომ მისი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი საკუთრების პროექტის ფარგლებში მოქცეულ ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. შესაბამისად, თანხმობის მიუღწევლობის გამო, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და 2016 წლის 3 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/257 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“,** რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტისათვის საჭირო ფართებზე.

ექსპროპრიაციის უფლება უნდა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №1-1/257 ბრძანებით განსაზღვრულ, **მინდია რობაქიძის (პ/ნ 21001000438)** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით №33.09.42.138. ექსპროპრიაციას დაექვემდებარება მითითებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) 1425 კვ.მ. ნაწილი.

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება

### ალექსეი რიბინის ჩანაწერები




### სტალინის უზრუნველყოფა სურსათით

**ხრუშჩოვი** უკრაინიდან რომ ჩამოვიდოდა, სოფლის მეურნეობაში თავისი დიდი განსწავლულობის შესახებ ტრაბახს მოჰყვებოდა ხოლმე, თუმცა პამიდორს და ზოგიერთ ბოსტნეულს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. ერთხელაც იქიდან ცოცხალი ხოხბები ჩამოიყვანა.

ვორონოვმა ფრინველები მეურნეობის ეზოში გაუშვა და ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით სტალინს რომ მოახსენა, სტალინი შეწუხდა:

— რატომ მაშინვე არ მითხარიო, უკანვე გავატანდი, ჭამა უყვარს, დაე, თვითონ მიირთვას, მოიმჯობინოს თავი...

მოკლედ, სტალინი და მთელი ის მომსახურე ხალხი, ადგილობრივი პროდუქტით იყვნენ უზრუნველყოფილი. საკმარისად აგზავნიდნენ მოსკოვის მაღაზიებშიც. მეურნეობის შემოსავალი წელიწადში ას მილიონამდე იყო.



კალინინის დაკრძალვა

### კალინინის დაკრძალვა

**1946 წელს**, 3 ივლისს, გარდაიცვალა კალინინი. სტალინი მას აფასებდა და პატივს სცემდა. ჯერ კიდევ ავადმყოფობამდე, ერთხელ, როცა მთელი პოლიტბიურო, სახკომსაბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ, ოთახიდან გადიოდა, ბელადმა ზემსკის თითი დაუქნია, თავისთან მიიხმო და უთხრა:

— ხედავთ კიბეს? მიხაილ ივანოვიჩმა შეიძლება კიბის საფეხურს ფეხი წამოჰკრას და წაიქცეს, ხომ იცით, ცუდად ხედავს, დახმარება სჭირდება.

კალინინმა კიროვსკიზე ბინაში ფეხი მართლაც ფარდაგს წამოსდო და კინაღამ დაეცა. მაგრამ საშიშ კიბესთან ზემსკიმ ახლა თავ-პირის მტვრევით მიირბინა და დროზე მოასწრო ხელის წაშველება. და აი, მავზოლეუმში სტალინი დღეს მისი საფლავის დასაზუსტებლად მივიდა და სპირიდონოვს ჰკითხა, დაკრძალავდნენ თუ არა კალინინს მართლმადიდებლური წესით? სპირიდონოვმა აუხსნა, რომ კუბოს საფლავში თოკებით კი არა, პირსაწმენდებით ჩაუშვებდნენ, რაზეც სტალინმა ასე უთხრა:

— პირადად თქვენ გავალებთ, რათა მიხაილ ივანოვიჩი მართლმადიდებლური, გლეხური წესით დაიკრძალოს.

### გამგზავრება ომის შემდეგ სამხრეთით

**1946 წელს** სტალინი დასასვენებლად სამხრეთში გაემგზავრა, მაგრამ არა მატარებლით, არამედ მანქანით, რათა ენახა, რამდენად იყო დანგრეული ტრასის დაყოლებით ქალაქები. ფეხით შემოიარეს და დაათვალიერეს კურსკი და ორლოვი. ერთ-ერთ ქუჩაზე შუა ნანგრევებიდან უცებ ქალი წამოიმართა, ვისაც გოცებისგან ხელიდან ვედრო გაუვარდა, ტაში შემოჰკრა, სტალინს ეცა და გადაეხვია, თან ტიროდა და ხმამაღლა მოთქვამდა:

— ძვირფასო სტალინ, ასე როგორ დადიხართ ამ ჩვენს დანგრეულ ქუჩებში?

— ჰო, მაგრამ, არ შეიძლება, თქვენს ქუჩებში ჩვენც ვიაროთ? — გაიღიმა სტალინმა. ქალი კი მაინც თავისას განაგრძობდა:

— თქვენ რომ არა, ამხანაგო სტალინ, მტერს ჩვენ ვერ მოვერეოდით, ვერ გავიმარჯვებდით. მთელი სულითა და გულით გიხდით მადლობას ამისათვის.

— მტერს ხალხი მოერია და არა მე, — დააზუსტა თავისი ჩვეულებისდამიხედვით სტალინმა, — ამისათვის მადლობა თქვენ მთელი სულითა და გულით.

ასეთი საუბრები გრძელდებოდა თითქმის ყველგან, ასე იყო ყველგან ნანგრევებად ქცეულ ქალაქებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგან უკვე დაეწყოთ დაზიანებულ ადგილებზე საკერებლების დადება, ხოლო სოჭში პორტს უკვე გამალებით აშენებდნენ. სტალინი იქიდან პირდაპირ პორტისაკენ გაემართა. ყველაფერს დეტალურად გამოჰკითხავდა სამხრეთ აგარაკის კომენდანტ აფანასევს, ვისაც, კიდევ კარგი, ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა და შეეძლო სოჭიდან ბათუმამდე, ყოველგვარი ქაღალდისა და ჩანაწერის გარეშე, დაწვრილებით გაეცა პასუხი ყველაფერზე. ამის შემდეგ სტალინი იქიდან რიწაზე გაემგზავრა. ყურადღებით დაათვალიერა თვალწარმტაცი ადგილები ტბის ირგვლივ. ჩინებული ჰაერი, ავათხარის ცივი წყაროები, მოკლედ, ეს იყო ყველაზე საუკეთესო ადგილი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ასაშენებლად. სტალინმა არქიტექტორ ავრამენკოს მიმართა, რიწის ტბის გარშემო გზა გაეყვანა.

— ამხანაგო სტალინ, ეს ძალიან ძვირი იქნება, — შეეპასუხა ავრამენკო, — აქ ხომ ასაფეთქებელი სამუშაოებიც იქნება საჭირო.

— ხალხისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. გზა კი აქ აუცილებელია, რათა ამ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებთან ხალხმა ავტობუსით თავისუფლად შეძლოს მოსვლა.

* * *

**მაშინ** რიწაზე სტალინის აგარაკი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომაც ყველას იმ საბილიარდოში მოგვიწია გათენება, რომელიც ჯერ ისევ მეფის დროიდან იყო იქ შემორჩენილი. იატაკზე ლეიბები გავშალეთ, გადავაფარეთ ზეწრები, ვიშოვეთ საბნები და ბალიშები. სტალინიც ჩვენთან ერთად საბილიარდოში დაწვა — თავი ბილიარდის ქვეშ ედო, ფეხები ბილიარდის გარეთ. დაცვას, რომელიც ყოელთვის ფხიზლად იყო, დაღლილობისაგან მაშინვე ღრმად ჩაეძინა. დილით სტალინმა დაიჩივლა:

— მეგობრებო, თქვენ შორის წუხელ რომელიღაც მთელი ღამე ხვრინავდა, თვალი ვერ მოვხუჭე. იქნებ მომიხერხოთ რაიმე, რომ ცალკე დავწვე.



ომისგან დანგრეული ქალაქების აღდგენა

ულრან ტყეში ვიპოვეთ რაღაც ფარდული, კარგად დავალაგეთ, დავასუფთავეთ, დავდგით რკინის რაღაც საწოლივით, ლოგინი დავაგეთ, მაგრამ დიდხანს არც იქ მოუწია სტალინს ძილი. მშენებლობის ყველა საკითხი რომ მოაგვარა, ყველანი ისევ სოჭში დავბრუნდით... დასვენების დროს სტალინს შავ მდინარეზე თევზაობა უყვარდა. კალაპოტში მდინარე სულ თქაფათქუფით მოხტოდა, თუმცა ზოგჯერ ნელა მოლივლივებდა თავთხელზე. წყალს ყველგან კამკამი გაჰქონდა, ძალიან ცივი და გემრიელი იყო. მდინარის ფართო და ღრმა ადგილებში ზუთხები დასრიალებდნენ. საერთო ხელმძღვანელობა სტალინმა იკისრა — დაუყვებოდა მდინარეს, ნახავდა, სად იყო თევზაობა უფრო ხელსაყრელი და გვიჩვენებდა, სად ჩაგვეგდო ტოლის კოჭი. კოჭს რომ ჩავდებდით, სტალინი სასწრაფოდ მდინარიდან მოშორებით გაგვყავდა — მოგეხსენებათ, კოჭთან ხუმრობა არ შეიძლება, ვინაიდან წყალი უცებ შადრევანივით ამოიფრქვევა და აფეთქების ხმა იქაურობას აყრუებს. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მდინარის პირას ზოგჯერ ძალიან სასაცილოდ დარბოდა, ისე, როგორც ჩვენ ყველა ცოდვილი და გვაქეზებდა თევზაობისათვის. ამგვარ ვითარებაში რომ ვხედავდით, გვიჭირდა იმის დაჯერება, რომ ეს ის უმაღლესი მთავარსარდალი იყო... აფეთქების შემდეგ ამოტივტივდებოდა წყლის ზედაპირზე ორი-სამი ზუთხი, მაშინვე მისრიალდებოდა რეზინის ნავით მასთან ელიზაროვი და ჩაუძახებდა ნანადირევს კალათში. მერე გადაკეტავდა ა.კაშევაროვი ბადით მდინარის წყალმეჩხერ ადგილს და ამოტივტივდებოდა წყლის ზედაპირზე ბლომად ჭიჭყინა... სამ-ოთხ ზუთხზე მეტის დაჭერის უფლებას სტალინი არ გვაძლევდა — საკმარისია, დღეს ჩვენ ეს გვეყოფაო. ამასობაში მდინარის პირას მზარეული სუზდალოვი უკვე სახელდახელო მაგიდას აწყობდა. აანთებდა ცეცხლს და შემოდგამდა ქვაბს ზედადგარზე. როცა ყველაფერი მზად იყო, სტალინი დაგვაჯილდოებდა ყველას თითო ჭიქა ღვინით და ჩვენც, რა თქმა უნდა, ერთხმად შევძახებდით:

— თქვენი ჯანმრთელობისა იყოს, ამხანაგო სტალინ!

— ჩემი კი არა, ელიზაროვის სადღეგრძელო დალიეთ, თევზები მე კი არა, ელიზაროვმა დაიჭირა, — შეგვისწორებდა ბელადი.

* * *

**ყველა**, ვინც ახლა მას ცილს სწამებს, წარმოდგენაც არა აქვს იმ ადამიანზე, მხოლოდ კინოში თუ უნახავს ან მასზე მწერლის მიერ დაწერილი წიგნი თუ წაუკითხავს. არც მწერლებმა იციან სტალინზე წესიერად არაფერი, ხალხი რაც შეიძლება მეტად რომ შეაშინონ, რაღას არ იგონებენ. სტალინი ძალიან ბუნებათანაზიარი ადამიანი იყო, მხიარული და ხელგაშლილი. ცოტას თუ შეეძლო პოლიტბიუროს წევრთაგან ასეთი უბრალო ურთიერთობა ჰქონოდა თავის დაცვასთან. ხშირად დავსხდებოდით სადმე ტყეში და ავაშიშხინებდით მწვადებს. მწვადის შესაწვავად ცეცხლთან ყოველთვის სტალინი ტრიალებდა, ამ მნიშვნელოვან საქმეს არავის გვანდობდა, მხოლოდ გვავალებდა — ერთს შეშა უნდა მოგვეტანა, მეორეს შამფურები გაეწმინდა, მესამეს ხორცი შამფურზე აეგო, მეოთხეს მაგიდა გაეწყო. მოკლედ, მუშაობა დუღდა. სტალინთან პოლიტბიუროს წევრები თუ არ იყვნენ, ერთ წუთში მის მიერ შემწვარი მწვადის ნასახიც აღარ იყო მაგიდაზე.

რიწაზე ყოფნისას მოვხარშავდით ხშირად უხას და სტალინთან ერთად ჩვენ-ჩვენი კოვზებით ერთი ქვაბიდან სიამოვნებით შევექცეოდით. ერთხელაც ჩვეულებრივ სათევზაოდ წავედით. წყალი ისეთი კამკამა და გამჭვირვალე იყო, შეგეძლო ფსკერიც კი დაგენახა. კუდებაბზინებული თევზები მდინარეში ჯგუფ-ჯგუფად დასრიალებდნენ და ერთი სული გვქონდა, ასეთივე აზარტით უხას სასწრაფოდ როდის მოხარშავდით.

პოლკოვნიკმა რაკოვმა მდინარეში თევსაჭერი მოწყობილობა ჩაუშვა და წყალში მოსრიალე თევზების ყურებაში ისე გაერთო, რომ ქვაზე დამჯდარმა წონასწორობა დაკარგა და წყალში ზღართანი მოადინა. ყველამ ერთად წყლიდან ნაპირზე ძლივს ამოვიყვანეთ და სველი ტრუსების ამარა ცეცხლთან დავსვით. სტალინმა თავისი ზაფხულის პალტო გაიხადა და მისცა, რომელიც მხოლოდ მაშინ დაუბრუნა, როცა თავის კარგად გამშრალ სამხედრო ფორმაში გამოეწყო, მერე კი სტალინს მისი იმ მამობრივი მზრუნველობისათვის დიდი მადლობა გადაუხადა. ამასობაში უხა უკვე მზად იყო, მაგიდას ყველანი გახარებულები მივუსხედით და თევზის ჭერა ახლა საინებში განვაგრძეთ.

ბორჯომში რომ ვისვენებდით, სტალინს თავისი იატაკქვეშელი თანამებრძოლი ქალი და მამაკაცი ესტუმრნენ. როგორც აღმოჩნდა, ქართველებს ფული გასთავებოდათ, ხოლო იმის გამო, რომ სტალინი ფულს თან არასოდეს ატარებდა, ჩამოვატარეთ ჩვენს შორის ქუდი და სამასი მანეთი მოვაგროვეთ. სტალინმა ფული ზუსტად შუაზე გაყო, ცალ-ცალკე კონვერტებში ჩააწყო და თანამემამულეებს გადასცა.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87

## ოლიმპიური ჩემპიონი

**დაიბადა 1945 წლის 9 აგვისტოს ქუთაისში. კალათბურთელი (186 სმ). თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ (1963-1975) და სსრკ ნაკრებში (1965-1973). XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი), XIX ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1968, მეხიკო), მსოფლიოს ჩემპიონი (1967) და მესამე პრიზიორი (1970), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1965, 1967, 1969, 1971) და მესამე პრიზიორი (1973), სსრკ თასის მფლობელი (1969), ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი (1967), მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი (1967), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.**

**დრამატული შეხვედრის ბოლო წუთი... ჯიმ ფორბესის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ამერიკელმა კალათბურთელებმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს — 49:48 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე მოდესტას პაულაუსკასმა ბურთი ალექსანდრ ბელოვს გადააწოდა, რომელიც ამერიკელთა ფარქვეშ იდგა. ბელოვის ტყორცნა არზუსტი გამოდგა, თუმცა, ასხლეტილ ბურთს თავადვე დაეუფლა. მისგან სამიოდე მეტრში სერგეი ბელოვი იდგა, იქვე იყო პაულაუსკასიც. იმის შიშით, რომ ბურთი არ დაეკარგა, ბელოვმა ყველაზე სახიფათო ვარიანტი აირჩია - გრძელი პასი უკან, სადაც ზურაბ საკანდელიძე ეგულებოდა.**

**ჟურნალისტმა ანატოლი პინჩუკმა ორთაბრძოლის შემდეგ ფინალური ეპიზოდის შეფასება რამდენიმე კალათბურთელსა და სპეციალისტს სთხოვა:**

**სერგეი კოვალენკო:** ტაბლოს შევხედე, რვა წამი რჩებოდა. სანიას ბურთი მაღლა რომ აეტყორცნა, ამერიკელები პრაქტიკულად ვერ მოასწრებდნენ მის ჩვენს ნახევარზე გადმოტანას, მან კი ბურთი უკან ტყორცნა, სადაც, მისი აზრით, საკანდელიძე უნდა მდგარიყო.

**გაბდლნურ მუხამეძიანოვი, კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი:** ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ალექსანდრს შეეშინდა, გარბენი არ გაეკეთებინა ან პირითი ხაზისთვის არ დაებიჯებინა ფეხი, ამიტომ გადაწყვიტა, ბურთი თავიდან მოეშორებინა.

**სერგეი ბელოვი:** საშკასგან რამდენიმე მეტრში ვიდექი, ჩვენ შორის არავინ იყო, ამიტომ მეგონა, რომ ბურთს მე მომაწვდიდა, მან კი პასი უკან „საკოს“ მიაწოდა, სადაც ორი ამერიკელი იდგა...

# ემოციური ჩირაღდანი

### სამი წამის ელვარება

**პასი კოლინზმა ჩაჭრა, ელვის სისწრაფით გაექანა მეტოქის ფარისკენ და, ის იყო, სამწამიან ზონაში ჰაერში აიჭრა, რომ მას ზურაბ საკანდელიძე წამოეწია, მარცხენა მხარი ჩაუდგა და ამერიკელი იატაკზე აღმოჩნდა. მსაჯებმა მაშინვე დააჯარიმეს ქართველი კალათბურთელი.** კოლინზმა ორივე ჯარიმა უშეცდომოდ გამოიყენა და თავისი გუნდი დააწინაურა — 50:49. მატჩის დასრულებამდე 3 წამი რჩებოდა. დროის ამ უმცირეს მონაკვეთში სასწაული მოხდა: ტაიმაუტის შემდეგ ივან ედეშკომ ამერიკელთა ფარქვეშ მდგარ ალექსანდრ ბელოვს მიაწოდა ბურთი, მან კი საბჭოთა ნაკრებს ორ ქულასთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონობა მოუტანა. ცხადია, მატჩის ერთ-ერთი გმირი ზურაბ საკანდელიძე იყო, რომლის სწორმა გადაწყვეტილებამ საბჭოთა ნაკრები მარცხისგან იხსნა. საინტერესოა ისიც, რომ მიუნხენის ოლიმპიადის წინასწარ მატჩებში ნაკრების მთავარი მწვრთნელი საკანდელიძეს მთელი დატვირთვით არ ათამაშებდა. ამის გამო საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სერგეი პავლოვს ვლადიმირ კონდრაშინისთვის შენიშვნაც კი მიუცია. „ეს ჩვენი საიდუმლო იარაღია ფინალისთვის“, — მშვიდად უპასუხია მთავარ მწვრთნელს. ამერიკელებთან გადამწყვეტი პაექრობის შემდეგ კონდრაშინმა ჟურნალისტებს უთხრა: „ის, რომ ზურაბ საკანდელიძე მატჩის ბოლო წუთამდე დარჩა მოედანზე, ჩემთვის, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის, ბედის საჩუქარია. ზურაბმა სწორედ თავისი გონიერებითა და სისწრაფით შეძლო, კოლინზს დაწეოდა და შეეჩერებინა იგი. დარწმუნებული ვარ, სხვას მსგავსი რამის გაკეთება არ შეეძლო“...



### თორთლაძის ქურაში ნაწრთობი

**ყველაფერს კი ქუთაისში ჩაეყარა საფუძველი: ჯანსაღი და ძლიერი ბავშვი იყო ზურაბ საკანდელიძე, რომელიც ჭიდაობასა და ცურვაში ჯაბნიდა თანატოლებს, რბენასა და ლახტშიც პირველობდა. ვინ იცის, საით წარიმართებოდა მისი ტალანტი, რომ არა უფროსი ძმა ანზორ საკანდელიძე, რომელიც სერიოზულად იყო გატაცებული კალათბურთით და სახელოვან მწვრთნელ სულიკო თორთლაძესთან იმაღლებდა ოსტატობას. სწორედ ბატონმა ანზორმა მიიყვანა ზურაბი სულიკოსთან.** ერთ-ერთ ვარჯიშზე იგი ჩვენს ტიტულოვან კალათბურთელსა და მწვრთნელ ოთარ ქორქიას უნახავს და აღფრთოვანებულს უთქვამს — ამ ბიჭისგან დიდი მოთამაშე დადგებაო. არც შემცდარა. 15 წლის ზურაბ საკანდელიძე თბილისში რომ გადმოიყვანეს, ოთარ ქორქიამ იგი თბილისის „დინამოში“ მიიწვია. ახალგაზრდა სპორტსმენს ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდში ქართული კალათბურთის კორიფეები დახვდნენ. ყმაწვილს ყველაზე მეტ ყურადღებას „დინამოს“ კაპიტანი გურამ მინაშვილი აქცევდა.

ერთხელ ბატონ გურამზე საუბრისას ოლიმპიურმა ჩემპიონმა მითხრა: „პატარა ვიყავი, გურამ მინაშვილის თამაში რომ ვნახე. იმდენად მომეწონა, რომ, მისი გავლენით, მეც მცველი გავხდი. 1963 წელს, როცა „დინამოში“ ჩავირიცხე, საკავშირო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ჩემმა უფროსმა ძმამ ანზორმა ჩემი თავი გურამს ჩააბარა. მაშინ გავიცანი იგი ახლოს და მას შემდეგ მისი ყურადღება არ მომკლებია. მეც გულისყურით ვაკვირდებოდი გურამის თამაშს. საოცრად მოქნილი იყო, საკუთარი რეაქციის მართვა შეეძლო, მოედანზე იწვოდა, მეტოქის შიში არ ჰქონდა. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. კაპიტანმა შესანიშნავად იცოდა თანაგუნდელების ძლიერი და სუსტი მხარეები.“

ამიტომაც იყო, რომ 1963 წელს კრაკოვში სოციალისტური ქვეყნების დინამიადისას კაპიტანმა მთავარ მწვრთნელს ექსპერიმენტული ხუთეული შესთავაზა, რომელშიც პირველად მოხვდა ზურაბ საკანდელიძე. იმავე წელს სერგეი ბაშკინმა ნიჭიერი ქართველი კალათბურთელი საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია. პირველი მატჩებიდანვე ზურაბ საკანდელიძე და ლიტველი მოდესტას პაულაუსკასი გუნდის ლიდერები გახდნენ. სწორედ ამ ორი კალათბურთელის ბწყინვალე თამაშით საბჭოთა ნაკრებმა 1964 წელს ნეაპოლში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, მანამდე კი რუმინეთში საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა, სადაც ზურაბ საკანდელიძე საუკეთესო ბომბარდირის პრიზით დაჯილდოვდა.

ახალგაზრდულ ნაკრებში ქართველი კალათბურთელის თამაშებს თვალს ადევნებდა საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი. გამოცდილმა სპეციალისტმა საკანდელიძე თავის გუნდში მიიწვია, რომელსაც ჯერ ამერიკულ ტურნეში უნდა მიეღო მონაწილეობა, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატში ესასპარეზა.

გომელსკის საკანდელიძისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. აი, რას წერს მისი ვაჟი ვლადიმერი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი: „საკანდელიძე სამამულო კალათბურთის განსახიერებაა. 1965-1972 წლების საბჭოთა კალათბურთი საკანდელიძის გარეშე წარმოუდგენელია. პირველად რომ ნახა ზურაბი და ავარჯიშებდა მას, მამა მიხვდა, რომ „საკოში“ ზღვა შესაძლებლობები იმალებოდა. ეს იყო იშვიათი შემთხვევა, რომ 20 წლის დებიუტანტმა საბჭოთა ნაკრების სასტარტო ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი. იგი გუნდის ემოციური ჩირაღდანი გახლდათ. „ალი“ — მამა ასე ეძახდა მას.“ თავად უფროსმა გომელსკიმ კი შეგირდს თავისი წიგნი ასეთი წარწერით აჩუქა: „უახლოეს და სასურველ „საკოს“ — ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს კალათბურთელს. ბედნიერი ვარ, რომ სსრკ ნაკრებში შენთან ერთად ვიღვწოდი, სადაც შენ ჩემი მოსწავლე იყავი და ძვირფას მეგობრად იქეცი. დაე, ცხოვრებაში მუდამ გზას გინათებდეს მზე, რადგან შენ თავად ალმასი ხარ.“ ალექსანდრ გომელსკი.



1965 წელს წელს ამერიკული ტურნეს დროს საბჭოთა კალათბურთელებმა სიეტლში მასპინძლებს 70:62 აჯობეს. ამ მატჩში საკანდელიძის ვირტუოზულმა თამაშმა მოხიბლა ამერიკელები, რომლებმაც მაცდური წინადადებითაც მიმართეს ჩვენებურს — დარჩი ამერიკაში და ცალკე ხელფასს გადაგიხდით, ცალკე — ჰონორარსო, მაგრამ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეს მსგავს წინადადებაზე დათანხმება კი არა, ოცნებაც არ შეეძლო — ციმბირი უკან დარჩებოდა.

ამერიკიდან დაბრუნებულმა საბჭოთა ნაკრებმა მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად ითამაშა და პირველი ადგილი დაიკავა. ფინალურ მატჩში ზურაბმა და მისმა თანაგუნდელებმა იუგოსლავიას მოუგეს — 58:49.

### კოსმოსური სიჩქარის მეფე

**ზურაბ საკანდელიძისთვის ტრიუმფალური იყო 1967 წელი: ურუგვაიში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მოდესტას პაულაუსკასმა და ზურაბ საკანდელიძემ შეიტანეს. ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულის უცვლელი წევრი იყო.** იგი ჩემპიონატის საუკეთესო მცველად აღიარეს. იმავე წელიწადს საბჭოთა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა ტამპერეში ევროპის ჩემპიონატზე და ისევ პირველი ადგილი დაიკავა. აი, რას წერს ცნობილი ჟურნალისტი დავით ჭელიძე თავის წიგნში „კანდელი ზურაბ საკანდელიძისა“: „ტამპერეში გამართული ევროპის პირველობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოდგა ზურაბ საკანდელიძისათვის. გარდა იმისა, რომ იქ მეორედ დაისაკუთრა კონტინენტის ჩემპიონატის უპირველესი პრიზი, ქართველმა კალათბურთელმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თუ ვაშინგტონში, კალათბურთის სამშობლოში, დიდებული თამაშისთვის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს, ფინეთში სრულიად ევროპის კალათბურთის სამყარომ საუკეთესო მცველად აღიარა და სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. 22 წლის ქართველი სპორტსმენი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს. ევროპის ჩემპიონატზე ზურაბს „მფრინავი რაკეტა“ და „კოსმოსური სიჩქარის მეფე“ შეარქვეს“. იქვე ბატონ დავითს ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის — მოდესტას პაულაუსკასის სიტყვებიც მოჰყავს: „გერმანელთა ფარის სიახლოვეს საბჭოთა კალათბურთელთა მცირე ჯგუფი მაღალი ბურთის დასაუფლებლად ემზადებოდა. და აი, მოულოდნელად ჰაერში აიჭრა საკანდელიძე, ბურთი ხელთ იგდო და „მეორე სართულზე“ მყოფმა, შეუჩერებლივ ტყორცნა მეტოქის კალათში. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ კარგა ხანს ვერ მოვიდნენ გონს არათუ გერმანელი კალათბურთელები და მაყურებლები, არამედ მისი გუნდის წევრებიც... არა, ის ნამდვილად უნიკალური კალათბურთელი იყო, რომლის მსგავსიც დღემდე არ დაბადებულა“.

ზურამ საკანდელიძემ მომდევნო წლებშიც არაერთხელ მიაღწია წარმატებას: 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, 1969 წელს მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიუბლიანაში მესამე ადგილი დაიკავა, არადა, მისი გუნდი მაშინაც მზად იყო ტიტულის შესანარჩუნებლად. იქაც შესანიშნავად ითამაშა ქართველმა კალათბურთელმა. საკავშირო ნაკრების წევრი ალჟან ჟარმუხამედოვი იხსენებს: „დღემდე თვალთაგან არ მშორდება ეს ეპიზოდი ლიუბლიანას მსოფლიოს ჩემპიონატიდან: მეტოქის მცველმა გადაწყვიტა, გზა გადაეკეტა საკანდელიძისთვის, რომელმაც, ის იყო, სისწრაფე აკრიფა. ზურაბმა წამიერად აუღო ალღო მოწინააღმდეგის ქმედებას და ზედ გადააფრინდა, როგორც ტანვარჯიშულ ხარიხას. მსგავსი რამ კალათბურთში არასდროს მინახავს. ზურაბს წამის მეასედებში შეეძლო სწორი გადაწყვეტილების მიღება. მისმა ასეთმა უნარმა იხსნა საბჭოთა ნაკრები მიუნხენში და ოქროს მედალი მოაპოვებინა“.

ზურაბ საკანდელიძემ 1971 წელს მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, ორი წლის შემდეგ კი კონტინენტის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა... აქტიურ სპორტთან განშორების მერე მიხეილ ქორქიასთან ერთად თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს ედგა სათავეში, ეწეოდა სხვა საზოგადოებრივ საქმიანობასაც და ყველგან სიყვარულს იმკიდა. ვინ იცის, რამდენი კარგი საქმე დარჩა განუხორციელებელი. უკურნებელი სენით შეპყრობილს უფროსი ვაჟიშვილის სიკვდილმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

ზურაბ საკანდელიძე 2004 წლის 25 იანვარს 59 წლისა გარდაიცვალა.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

### „ოკლაჰომა“ კონფერენციის ფინალში „გოლდენ სტეიტს“ შეხვდება

**გუშინ „ოკლაჰომამ“ შინ „სან ანტონიოს“ 113:99 მოუგო და დასავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა, სადაც „გოლდენ სტეიტს“ დაუპირისპირდება. ოკლაჰომელებმა ტეხასელებს სერია 4:2 მოუგეს.** „სან ანტონიომ“ პირველი სამი მეოთხედი პირწმინდად წააგო, ხოლო დასკვნითი პერიოდი ფორმალობაღა იყო. მატჩში ყველაზე მეტი 37 ქულა კევინ დიურანტის ანგარიშზეა, ხოლო რასელ ვესტბრუკმა ორმაგი დუბლი შეასრულა — 28 ქულა, 12 პასი. „სან ანტონიოში“ 22 ქულით კავაი ლეონარდი გამოირჩა.



„ოკლაჰომამ“ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მეოთხედ მოახერხა დასავლეთ კონფერენციის ფინალში გასვლა. მისი მწვრთნელია ბილ დონოვანი.

სერიის პირველ შეხვედრაში „გოლდენ სტეიტი“ შინ მიიღებს „ოკლაჰომას“. თამაში 17 მაისს თბილისის დროით დილის 5 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ინტერნეტიდან

### რაფაელა მოდუნიო მეგავარსკვლაობას ეპოტინება

**ბოლო დროს დიდად პოპულარული იტალიელი მოდელი რაფაელა მოდუნიო თავისი ეპატაჟურობითა და ტიტლიკანობისადმი სწრაფვით უკვე არაერთხელ გახდა ფერადი ჟურნალების ყდების სტუმარი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ასულს მეგავარსკვლავობასაც კი შეუძლია წაეპოტინოს.**

ერთადერთი, რაც ამ გოგონას ნაკლებად „მეგა“ აქვს, ეს საყვარელი საფეხბურთო კლუბია, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ რაფაელას რჩეული ციცქნა „ჯენოა“ ევროპის საშუალო დონის კლუბებს შორისაც კი ძალიან ძნელად ჩაითვლება. თუმცა, სიყვარული სიყვარულია და როდესაც ასეთ შხვართ ქმნილებას ვინმე ან რამე უყვარს, ჩვენ ამ ტრფობაში ეჭვის შეტანის უფლება ნამდვილად არა გვაქვს.



რაფაელა უკანასკნელ პერიოდში მთელი მონდომებით და გულ-ჯიგრითაა ჩართული ანტიალკოჰოლურ კამპანიაში და ფოტოსტუდიებში თამამი ფოტოსურათების გადაღებიდან აღებულ თანხებს უმეტესწილად ალკოჰოლის საწინააღმდეგო კამპანიას ურიცხავს. როგორც ჩანს, იტალიაში ჯერ არ გავრცელებულა გამოთქმა: „მთვრალი კაცი — კაი კაცი“, თორემ შესაძლებელია რაფაელა მოდუნიოს თავისი მსოფლმხედველობისათვის გადაეხედა კიდეც.

**როსტომ რაჭველიშვილი**

**◉ სულიერება**

# აღდგომიდან მესამე – მენელსაცხებელ დედათა კვირიაკე

15 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მენელსაცხებელ დედებს: **მარიამ მაგდალინელს, მარიამ კლეოპას, სალომეს, იოანას, მართას, მარიამს, სუსანას და სხვებს. ასევე მენელსაცხებლე დედათა რიცხვში საქართველოს კეთილმსახური მეფე თამარი შედის (1213 წ.).** დღეს მცხეთის პატიოსანი ჯვრის აღმართების ხსენებაა, რომელიც გარდამავალია და აღდგომიდან მესამე კვირიაკეს აღინიშნება.




...ცნობილი მოციქულთა სწორი უფლის მენელსაცხებლე მარიამ მაგდალინელი ყოფილა ლამაზი და ამავე დროს ცოდვილი ცხოვრების მიმდევარი. სახარებაში ნათქვამია, რომ უფალმა განდევნა მარიამისგან შვიდი ეშმაკი. განკურნების შემდეგ მარიამმა დაიწყო ახალი ცხოვრება. ის იქცა მაცხოვრის ერთგულ მოწაფედ.

სახარება მოგვითხრობს, რომ მარიამ მაგდალინელი უფალს დაჰყვებოდა ყველგან, სადაც კი იგი თავის მოწაფეებთან ერთად წავიდოდა ხოლმე საქადაგებლად – ურიასტანისა და გალილეის ქალაქებსა და სოფლებში. მის გარდა უფალს ემსახურებოდნენ სხვა წმინდანი დედებიც – მარიამი, იოანა, სუსანა და სხვები. სახარების თანახმად, მარიამი გოლგოთაზე იმყოფებოდა, უფლის ჯვარცმის დროს. როდესაც მაცხოვრის ყველა მოწაფე გაიფანტა, იგი უშიშრად დარჩა ჯვართან, ღვთისმშობელთან და მოციქულ იოანესთან ერთად. საღვთო კანონის თანახმად, დედებმა, განსვენების დღის დადგომამდე მაინც მოასწრეს მოემარაგებინათ ნელსაცხებელი, რათა შვიდეულის პირველსავე დღეს განთიადისას მისულიყვნენ უფლის საფლავთან და ებრაული ჩვეულების თანახმად შეემურათ ნელსაცხებლებით.

ახლა, ცოტა რამ ჩვენს კეთილმსახურ მეფე თამარზე, რომლის ხსენებაცაა 14 მაისს, 31 იანვარს, რომლის შესახებ უამრავი ლეგენდა და თქმულება დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, 15 მაისს კი მას უკვე ვიხსენიებთ, როგორც მენელსაცხებლე დედას, მისი მოღვაწეობისთვის, ის მოციქულთა სწორს გაუტოლდა...

**გიული ლიპარტია**

---

ვახტანგ ყოლბაია ოჯახით თანაუგრძნობს და უსამძიმრებს ნუგზარ ფიფიას მეუღლის

**მანანა გაბუნიას**

გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ ყოლბაია, ოთარ ასვანუა და თორნიკე კილანავა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ღუღუნი თორიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

## საკრებულოს დეპუტატის ცოლისძმა ქრთამის აღებისთვის დააკავეს!

**სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის უფროსი ვასილ ბექაური დააკავა. გამოძიების ცნობით, ბექაურმა ერთ-ერთი სამეწარმეო სუბიექტის მფლობელს ნაძალადევის რაიონში მდებარე დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შესაცვლელად ჩასატარებელი სამუშაოების გადაცემისა და დაფინანსების სანაცვლოდ ქრთამის სახით გარკვეული თანხის გადახდა მოსთხოვა. 2016 წლის აპრილში ვასილ ბექაურმა ქრთამის სახით აიღო 1800 ლარი. ამასთან, 2016 წლის 11 მაისს ვასილ ბექაურმა იმავე სამეწარმეო სუბიექტის მფლობელისაგან ქრთამის სახით დამატებით მოითხოვა და აიღო 2000 ლარი, რა დროსაც იგი დააკავეს.**

**ვასილ ბექაური თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელის ნუგზარ მალაღურაძის ცოლისძმაა. არსებული ინფორმაციით, ბექაური წარსულში საბურავების ქურდობის ბრალდებით იყო დაპატიმრებული, თუმცა მას ნასამართლეობა გაქარწყლებული აქვს. არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის" ხელმძღვანელის ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციით, ბექაური, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი ვერ გაიარა, ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის თანამდებობაზე მაინც დაინიშნა.**

---

# უკანონოდ ჩამორთმეული კომპლექსი მეპატრონეებს დაუბრუნდებათ

**საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ ცოლ-ქმარს – ოლღა პავლიაშვილსა და გია გიგუაშვილს 2008 წელს უკანონოდ ჩამორთმეული გორის საცურაო კომპლექსი დაუბრუნდებათ.**

პროკურატურის ინფორმაციით, კომპლექსი მოიცავს 1 559 კვადრატული მეტრ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მასზე განთავსებულ 1373 კვ. მეტრ შენობა-ნაგებობას საცურაო აუზით.

გამოძიების ინფორმაციით, 2007 წელს 6 ივნისს ცოლ-ქმარმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამართულ აუქციონში გამარჯვების შემდეგ, კანონიერად შეიძინეს შპს „აკვაპარკის" 100% წილი, რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა გორში მდებარე საცურაო კომპლექსი.

ამ ფაქტიდან ერთ წელიწადში, 2008 წლის ივლისის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც შპს „აკვაპარკის" ქონება იმჟამინდელი ხელისუფლების ინტერესის სფეროში აღმოჩნდა, გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა პროკურატურის ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღო უკანონო დავალება, ოლღა პავლიაშვილისთვის და მისი მეუღლე გია გიგუაშვილისთვის მოეთხოვა აუქციონის გზით შეძენილი უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაცემა.



ამ მიზნით, გორის რაიონულ პროკურატურაში, რამდენჯერმე დაიბარეს დაზარალებული გია გიგუაშვილი, რომელსაც პროკურორი დაკავების მუქარით კატეგორიულად სთხოვდა ხსენებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემას. დაზარალებული, მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, იძულებული გახდა დათანხმებოდა უკანონო მოთხოვნას.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, 2008 წლის 17 ივლისს, გორის რაიონულ პროკურატურაში, დაზარალებულმა გია გიგუაშვილმა, პროკურორის და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის თანდასწრებით, ხელი მოაწერა პროკურატურაში შედგენილ ჩუქების ხელშეკრულებას, რითაც მან სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მათი ოჯახის კუთვნილი 736 225 ლარის ღირებულების 1559 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 1373.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობით (გორის საცურაო კომპლექსი).

გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების ჩამორთმევაში მხილებული პროკურორის მიმართ, რომელსაც დატოვებული აქვს პროკურატურის რიგები, გამოყენებულ იქნა დისკრეციული უფლებამოსილება და არ მოხდა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

ახალი დეპარტამენტის მიერ გახსნილი ამ დანაშაულებრივი ფაქტის შედეგად, აღდგენილი იქნება დაზარალებულთა დარღვეული უფლება.

---

**◉ ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ...**

# საპენსიო ასაკის გადაწევა დღის წესრიგში არ დადგება

**საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ხანდაზმული ადამიანების რიცხვი იზრდება. სახელმწიფოებს სულ უფრო უჭირთ საპენსიო მომსახურების გაწევა, განსაკუთრებით კი მისი მოცულობის გაზრდა.**

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომიტეტის ინფორმაციით, საქართველოში მოსახლეობის დაბერება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს – 2010 წელს 4,4 მილიონი ადამიანიდან 14%-ზე მეტი იყო 65 წლის და 65 წელზე მეტი ასაკის, ხოლო ერთი მესამედი – 50 წლის და 50 წელზე მეტი ასაკის. როგორც ჯანდაცვის კომიტეტი განმარტავს, მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის ეს ციფრები 21%-მდე და 40%-მდე გაიზარდოს.

**„პროგნოზების მიხედვით, საქართველოში დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, რომელიც 2010 წელს ქალებისთვის 78 წელი იყო, ხოლო მამაკაცებისთვის – 71 წელი, 2030 წლისთვის ქალებისთვის 80 წლამდე გაიზრდება, ხოლო მამაკაცებისათვის – 73 წლამდე",** – აღნიშნულია პარლამენტში განსახილველად წარდგენილ დადგენილების პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში.

ხომ არ გამოიწვევს ეს პროცესები ქვეყანაში საპენსიო ასაკის გაზრდას? რამდენად ექნება შესაძლებლობა სახელმწიფო ბიუჯეტს მომავალში პენსიონერების მზარდი მოთხოვნა დააკმაყოფილოს? სხვათა შორის, საპენსიო ასაკის გადაწევას ბოლო დროს ხშირად მიმართავენ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ შობადობა დაბალია, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალიან გაიზარდა. შესაბამისად, ხანდაზმულ ადამიანთა რიცხვი მოსახლეობის საერთო ოდენობაში ზედმეტად მაღალია.

დღესდღეობით მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საპენსიო ასაკი 65 წელია. ევროპასა და აშშ–ში შორეულ პერსპექტივაში, 2060 წლისთვის ამ ასაკის 70 წლამდე გაზრდას გეგმავენ როგორც ქალების, ისე მამაკაცებისთვის. გერმანიაში ასეთი ნაბიჯის გადადგმა უფრო ადრეც იგეგმება.

იაპონიაში, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 82 წელია, პენსიაზე 70 წლის ასაკში გადიან. ნორვეგიაში კი, სადაც 79 წელს ცოცხლობენ, საპენსიო ასაკი 67 წელია.



საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილმა „კომერსანტთან" საუბრისას აღნიშნა, რომ ჩვენთან ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელი უნდა შეეწყოს დემოგრაფიულ პროცესებს, მათ შორის, დედათა და ბავშთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას, შობადობის გაზრდას და ა. შ.

საპენსიო მიმართულებით ხელისუფლებას ჯერჯერობით სხვა უმნიშვნელოვანესი ამოცანა აქვს გადასაჭრელი, რომელიც საპენსიო რეფორმას ეხება. **დაახლოებით წელიწადნახევარში საპენსიო სისტემაში რევოლუციური ცვლილებებია მოსალოდნელი. 2017 წლის მესამე კვარტალიდან დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება იგეგმება და გარდა ამისა, საბაზისო პენსია ყოველწლიურად მინიმუმ ინფლაციის დონის გათვალისწინებით მოიმატებს.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, **გაანალიზდა სამი სახის კერძო დაგროვებითი სისტემის მოდელი: ნებაყოფლობითი, სავალდებულო და ჰიბრიდული (შერეული).** მისივე თქმით, ჰიბრიდული მოდელის დანერგვა საქართველოსთვის ყველაზე ეფექტური იქნება.

**„საპენსიო დაგროვების მოდელი შემდეგნაირად მუშაობს: ორგანიზაცია ვალდებულია, თანამშრომელს შესთავაზოს ყოველთვიური საპენსიო შენატანი ხელფასის 2%-ის ოდენობით, რომელიც გადაირიცხება დასაქმებულის მიერ არჩეულ კერძო საპენსიო ფონდში. თუ დასაქმებული დათანხმდება შეთავაზებას, მაშინ მან საკუთარი შემოსავლიდან 2%-ით უნდა მიიღოს თანამონაწილეობა. დაქირავებულს უფლება აქვს, უარი თქვას მონაწილეობაზე. დასაქმებულის მონაწილეობის შემთხვევაში, სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადიდან მიიღებს თანაკონტრიბუციას და დამატებით გადარიცხავს ანგარიშზე 2%-ს.** უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, 2%-ზე მეტი შეიტანოს.

დაწესდება მაქსიმალური შენატანის ზღვარი სახელმწიფოს მიერ კონტრიბუციის კოეფიციენტზე, რაც თავდაპირველად იქნება 2000 ლარი და შემდეგ გაიზრდება ყოველწლიურად საშუალო ხელფასის ზრდის პარალელურად", – განაცხადა საპენსიო რეფორმების სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ძიძიკაშვილმა.

მნიშვნელობა არ ექნება, დამსაქმებელი სახელმწიფო სამსახური იქნება თუ კერძო სექტორი – კონტრიბუციას ყველა თანაბრად მიიღებს, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, აქტივები მემკვიდრეს გადაეცემა.

**ბექა დანელია**

## რწმენის ხეები



**უფლისკენ გზაზე საჭიროა ჯერ ხის პატრონობა, მიაჩნიათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იანვრის მიწურულს-თებერვლის დასაწყისში ისრაელში ხეების ახალ წელს — თუ ბი-შვათს აღნიშნავენ.**

სუფრაზე ხუთი სახეობის ხილის კერძებს დებენ, რადგან, თორაში წერია, რომ უფალს ებრაელები მიჰყავდა... „ხორბლისა და ქერის, ვაზის, ლეღვისა და ბროწეულის, ზეთისხილის და ფინიკის ქვეყანაში“.

ისრაელის შვილებს თორა ხეებს ადარებს (სწორედ აქედან მოდის სამ წლამდე ბიჭუნებისთვის თმის არშეკრეჭისა და ასევე პირველი სამი წლის მანძილზე ხილის ხეებიდან ნაყოფის დაუკრეფაობის წესი). უწინ დღესასწაული ხალხს ხელს უწყობდა ძველი და ახალი წლის მოსავლების განცალკევებაში, რაც აუცილებელი იყო სამღვდელოებისა და ღარიბთათვის, ვისაც საკუთარი მიწა არ გააჩნდა მისი მეათედის გამოსაყოფად.

ამჟამად **თუ ბი-შვათის დღესასწაულზე ხეების ბედზე ლოცულობენ და ახლებს რგავენ.**

## დიეტით რატომ იჩაგრავენ თავს ეს ქალბატონები?



**ერთმა ცნობილმა ფრანგმა გინეკოლოგმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ქალებს ექიმის გარეშე ბავშვის გაჩენა აღარ შეეძლებათ.**

ამასთან დაკავშირებით რუსეთის ადამიანის რეპროდუქციის ასოციაციის პრეზიდენტი, დოქტორი ვლადისლავ კორხაკი ამბობს, რომ ეს ასე არ არის და ბავშვის გაჩენის უნარის მქონე ქალები ყოველთვის იქნებიან.

— სხვა საქმეა, რომ მათი რიცხოვნობა წლიდან წლამდე კლებულობს, დღესდღეობით მოდაშია ათასნაირი დიეტები, კვების ამ რეჟიმში კი ხშირია რეპროდუქციული სფეროს მოშლილობები, რომელთა გამოსწორება მხოლოდ ექიმების დახმარებითაა შესაძლებელი. თანაც თანამედროვე ქალებს წესად აქვთ შემოღებული ბავშვის გაჩენის „სამერმისოდ“ გადადება, გარდა ამისა იზრდება აბორტების რიცხვი. აქედან გამომდინარე, ჩნდება რეპროდუქციული პრობლემები და ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ისინი წლიდან წლამდე მრავლდება.

## წვერებიანი „საფრთხობელები“



**ქალებს წვერებიანი მამაკაცებისა ეშინიათ, აცხადებენ ახალზელანდიელი ფსიქოლოგები.**

ბევრი მამაკაცი წვერს უშვებს, რადგან თვლის, რომ ეს მას უფრო მომხიბლავს ხდის. მაგრამ, მკვლევართა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ, მართალია, წვერი კი არის ვაჟკაცური კაცის ატრიბუტი, მაგრამ ქალბატონებს ნაკლებად იზიდავს.

მკვლევარებმა მოხალისეთა ჯგუფის წევრ ქალებსა და მამაკაცებს ერთი და იგივე მამაკაცების ფოტოები ანახეს — წვერით და უწვეროდ. ორივე სქესის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წვერმოშვებული მამაკაცები თავიანთ ასაკზე უფროსები, მეტად აგრესიულნი და უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონეებად აღიქმებიან. ქალებს პირგაპარსული მამაკაცები უფრო მეტად ხიბლავდნენ.

მეცნიერთა ვარაუდით, წვერი ქალების ასოციაციაში პოტენციურ მუქარასთან იგივდება — უძველეს დროში სახეზე ბალნიანი ინდივიდები მეტად აგრესიულ მამრებად აღიქმებოდნენ, რომლებიც თავის ტერიტორიაზე მდედრებსაც კი არ უშვებდნენ.

## პროვოკატორი სურნელებები



**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ კარგი სუნის მქონე კოსმეტიკურ და ჰიგიენურ საშუალებებსა და ჩვენს მადას შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობს, რის გამო საცხებისგან და ლოსიონებისგან შეიძლება წონაშიც კი მოვიმატოთ!**

აღმოჩნდა, რომ კარგი, ხშირად ამა თუ იმ ნუგბარის სუნის შემცველი ზოგიერთი კოსმეტიკური თუ ჰიგიენური საშუალებები ქალებს მადას აღუძრავს. ჩატარებულ ექსპერიმენტში მანდილოსანთა ერთ ჯგუფს შოკოლადის სურნელიანი ლოსიონი შესთავაზეს, მეორეს — არა. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის ქალბატონებმა მეორე საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით მეტი შოკოლადის ნამცხვარი მიირთვეს.

## გარუჯვის მაგივრად... პომიდორი





**წითელი ბოსტნეული და ხილი კანის ფერს აუმჯობესებს, დაადგინეს შოტლანდიელმა მეცნიერებმა.**

ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად 18-დან 25 წლამდე 35 მკრთალი კანის ფერის მქონე 35 სტუდენტი შეარჩიეს. კანის ტონუსის ამწევი და ფერის მიმცემი თვისებების დასადასტურებლად, რომლებიც ვაშლს, ფორთოხალსა და პომიდორს აქვს, ექსპერიმენტის მონაწილეები ექვსი კვირის მანძილზე მხოლოდ ამ ხილსა და ბოსტნეულს ჭამდნენ. ხელოვნურად გარუჯვა ექსპერიმენტის დროს მონაწილეებს ეკრძალებოდათ, თუმცა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ის საჭირო აღარ იყო, რადგან თვენახევრის შემდეგ მათი კანი საგრძნობლად გამუქდა და გაახალგაზრდავდა.

## ეს საზარელი ობობები!



**ობობების შიში მათ უფრო დიდებად წარმოგვიჩენს, ვიდრე სინამდვილეში არიან, დაადგინეს ისრაელის ბენ-გურიონის სახელობის უნივერსიტეტის მკვლევარებმა.**

ამასთან, აღმოჩნდა, რომ ქალებს ობობებისა მამაკაცებზე მეტად ეშინიათ. გამოსაცდელთა ორ ჯგუფად დაყოფის შემდეგ, რომელიც ობობების შიშის დონისდა მიხედვით მოხდა, მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ ისინი, ვისაც ობობების დიდი შიში აქვთ, არა მარტო მათ, არამედ სხვა მწერების, მათ შორის ხოჭოების, პეპლების და ა.შ. ზომებსაც აზვიადებენ.

ჯერჯერობით მეცნიერებს ვერ გაურკვევიათ, თუ ადამიანთა განცდებში რომელი გრძნობაა პირველადი: ისინი ობობების ზომებს უფრო დიდად შიშის გამო აღიქვამენ, თუ პირიქით ხდება და მწერების ზომების გადიდება იწვევს პანიკურ შიშს.

## ისევ ჯონჯოლის კრეფის მსხვერპლნი

**ე.წ. რუსმა მესაზღვრეებმა საჩხერეში საქართველოს 9 მოქალაქე დააკავეს.**

**ფაქტი მედიანიუსს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაუდასტურეს.**

**როგორც უწყებაში აცხადებენ, საქართველოს მოქალაქეების დაკავება ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით მოხდა.**

**არსებული ინფორმაციით, 9 პირი ჯონჯოლის საკრეფად იყო წასული, როდესაც დააკავეს.**


რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.


## ცინცხალი ანეკდოტები

**— მთელი ცხოვრება სამი ყველაზე მთავარი სიტყვის გაგონებას ვნატრობ: „თქვენ ხელფასი მოგიმატეს!“**

* * *

**— რატომაა, რომ საკუთარი თავი ასე ძლიერ მიყვარს? წმინდა წყლის ფსიქოლოგიური კომფორტის მოსაზრებიდან გამომდინარე. აბა, წარმოიდგინე, როგორი უხერხული იქნებოდა ერთობლივი ცხოვრება კაცთან, რომელიც ჭირის დღესავით გეჯავრება!..**

* * *

**— რა არის, რა საქციელია, ჩემო მაკრინე! დედაშენი ექვსი საათის განმავლობაში მშობიარობდა შენზე, ამდენი იტანჯა და იწვალა, შენ კი ასეთი გომბეშო გაიზარდე!..**

* * *

**ნევრასტენიკია კაცი, ვინც ქვიშის სასახლეებს აშენებს.**

**ფსიქოპატი ისაა, ვინც ამ სასახლეებში ცხოვრობს.**

**ფსიქოლოგი კი ის გახლავთ, ვინც მათ არენდაში ფულს იღებს.**

* * *



**თქმა არ უნდა, კაცმა სხვის შეცდომებზე უნდა ისწავლოს, მაგრამ საკუთარი შეცდომებიც რომ უნდა აკეთო, ესეც ნაღდია.**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434


**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.212; ევრო - 2.521;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.191;
100 რუბლი - 3.349; თურქული ლირა - 0.745;
აზერბაიჯანული მანათი - 1.471;
1000 სომხური დრამი - 5.615

**ამინდი 14 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +25 |
| თბილისი: | ღამე +14, | დღე +27 |


ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE